სიბატო (მ. შერვაშიძე) სიღრინასთან დიალოგში ერთ წინადადებას ხატავს გურული გლეხის უმწიკო ცხოვრებას: „სიღრინებს რა ვუყო, თვარა ნახევარი თხა რა საყლია, მთელი მთა მინც უნდა გვაყავს“ (იასონისა და სიბატოს მრავალშელოანი ოჯახებს საზიარო ხელა ჰკავთ). „წუთისფილმი“ ლაკონურად, გამომსახველად არის მოცემული ბოლშევიკური პარტიის ბრძოლა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს შექმნისათვის საქართველოში. ფაქტურად აქ ერთ ბოლშევიკი, ისიც ძალზე ახალგაზრდას (აფრასიონი), ხედავთ. დანარჩენს სხვა პერსონაჟებისგან ნათქვამი ვცნობ, მაგრამ იგრძობთ სიმართლის შემოქმედებად, შთამბეჭდაობა, ხალხის ნდობა ამ ჰუმულისადმი, რომელმაც ჯერ თვითონაც კარგად არ იცის ახალი ცხოვრების შენება, მაგრამ იგი კომუნისტური პარტიის ერთგული შვილია და გჯერა, რომ გზას გააკვლევს, სხვაგვარ სასიკეთოზე გაიყვანს.

ფილმის ვ. ი. ლენინსაც ვხედავთ, მაგრამ ფილმის ავტორებმა ლენინის როლის შესრულებას მსახიობს კი არ დააკისრეს, არამედ მსატკრული ასოცირების ხერხს მიმართეს. აფრასიონი თავისი სახლის კედელზე კიდებს მონ-



კადრი ფილმიდან „წუთისოფელი“. სი-
ლონია — ს. ჭიაურელი (ცენტრში).

მომხარ ბელადის პორტრეტს იასონი, რომელიც პირველ ხანებში სრულებითაც არ ერევა პოლიტიკაში და არც კი ეპრიანება შვილის კომკავშირელობა თუ პარტიულობა, სიამოვნებით ამბობს ლენინზე: ისე, კაი ყაბახი ჩანსო. ხო-
ლო აფრასიონის პატარა ძმა სისხარულით მივარდება დე-
დას: მე მიყურებს ლენინო.

ამასთან დაკავშირებით უნებლიეთ გვაგონდება ჩინგიზ აიტმატოვის მოთხრობა „პირველი მასწავლებელი“ და მის საფუძველზე შექმნილი იმავე სახელწოდების ფილმი. სოფ-
ლის მასწავლებელი დიუიშევი, რომელსაც სათანადო გა-
ნათლებაც კი არა აქვს, მაგრამ ღრმად ემის მისი მნიშვნე-
ლობა, საკუთარი მოწოდებითა და შრომით ქმნის სკო-
ლას, თვალდებით, პატიოსნად ასწავლის ყირგიზეთის ერთ-ერთი მივარდნილი სოფლის უწიგნურ ბავშვებს. დიუ-
იშევი სურათით აცნობს თავის აღსაზრდელებს დიდ ბე-
ლადს. ეს სურათი მანვე წაიწება საკლასო ოთახის კე-
დელზე.

«Это Ленин! — сказал он.

...На том портрете Ленин был в несколько мешковатом военном френче, осунувшийся, с опросшей бородой. Раненная рука его висела на подвязке, из-под кепки, сдвинутой на затылок, спокойно смотрели внимательные глаза. Их мягкий, согрешающий взгляд, казалось, говорил нам: «Если вы знали, дети, какое прекрасное будущее ожидает вас!» Мне казалось в ту тихую минуту, что он в самом деле думал о моем будущем».

ღრმა სევდის გრძნობას ბადებს ვ. ი. ლენინის გარდაც-
ვალების თავზარდამცემი ამბის გაგება სოფლად. თოვლით დაფარულ, ჩანჩულბულ სოფელში ჩირაღდებისა და ფარ-
ნების შუქით დაკლავილი ბილიკები წყარობივით მოი-
სწრაფიან, მდინარეებზე და იზრდებიან და ერთ ძლიერ მასად ტბორდებიან. იასონის ოჯახიც უერთდება ამ საყვიელთაო წუხილს.

ისევ „პირველი მასწავლებელი“ გავახსენდება: დიუი-
შევი სკოლისკენ მიმავალ თოვლიან გზაზე მიუძღვის ბავ-
შვებს, ხოლო როცა საკლასო ოთახში შევიდნენ:

«...Дюйшен не стал растапливать печь.

— Встаньте, — приказал он.

Мы поднялись.

— Снимите шапки.

Мы послушно обновили головы, и он тоже сорвал с головы буденовку. Мы не понимали, к чему это. И тогда учитель сказал простуженным, прерывающимся голосом:

— Умер Ленин. По всей земле люди стоят сейчас в трауре. И вы стойте на своих местах; замрите. Смотрите вот сюда, на портрет. Пусть запомнится вам этот день...

Потом Дюйшен вытер глаза рукавом и сказал: — Я ухожу сегодня в волюсть. Я иду вступать в партию».

ჩ. აიტმატოვთან დაკავშირებულ ორივე შემთხვევაში, თუმცა არის ერთგვარი მსგავსება, მაგრამ არავითარ შემ-
თხვევაში — იდენტურება. „წუთისოფელი“ ეს ადგილები საკუთარი მიდგომითაა გადაწყვეტილი და თავისთავადო-
ბით ხასიათდება. აქ ლენინის გარდაცვალებისას ლაკონიუ-
რად არის ნაჩვენები სათქმელი და სიტყვიერი მასალა მი-
ნიმუმამდე დაყვანილი, ხოლო ლენინის გაცნობისას (პორ-
ტრეტის საშუალებით) ერთობ ეკონომიურია და ზუსტი სა-
თქმელ-საჩვენებელი. ოღონდ ვე არის, რომ ბელადის გარ-
დაცვალეს: ს მაცნე აფრასიონის სიტყვების ემოცია ვერ ამაღლდა მშვენიერ და ზაფიქრებული სცენის მხატვრულ მოთხოვნამდე.

სხვა ეპიზო: „წი, მხატვრული თვალსაზრისით, კარგად არის გადმოცემული ხალხის სხვადასხვა ფენის დამოკიდებულება ლენინისადმი:

და ვ ი თ ი — ლენინს თურმე ასე უტყვამს: მიწა — გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები კი — მუშებსო.

ს ი პ ი ტ ო — ააშენა ღმერთმა!


ი ა ს ო ნ ი — კი, კი, ნამდვილად კარგი უტყვამს!

თ ა რ ხ ა ნ ი — მიწა კი, ბატონო, გლეხებს, მარა... მი-საგალი ვისო?

და ვ ი თ ი — თარხანა, შეგვე შენ მაგ ჩიქორთულ შეკითხვებს!

თ ა რ ხ ა ნ ი — არ გეთანხმები ამხანაგ ლენინს ზოგი-ერთ რამეში...

ს ი პ ი ტ ო — რამდენიც არ უნდა იბუზღუნო, თარხან, იმ თურამეტ ქცევა მიწის მაინც არ დაგიტოვებენ, ჩამო-გართმევენ...



კალრი ფილმინი „წუთისოფელი“. ია-
სონი — გ. წიტიშვილი.

აი, ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორი მხატვრული შთამბეჭდაობის მიღწევა შეიძლება მცირე დიალოგით. აქ გახსნილია ორნაირი დამოკიდებულება სოციალური მოვლენებისადმი. თარხანს ხელს არ აძლევს მიწა რომ გლუხებს ჰქონდეთ, რადგან თავისი ვეარგება; ამიტომ იგი ცდილობს მზარი გაუჩინოს დავითის ნათქვამს, მაგრამ უმიწაწყო გლუხები — დავითი, სიპიტო და იასონი ემპაკურად ნასროლ ანკესზე არ ეგებიან. მათ სჯერათ ბელადის მართალი სიტყვები და უტყევენ კიდევ თარხანის „ჩიქორთულ შეკითხვებს“.

„წუთისოფლის“ გმირთა ხასიათები, როგორც წესი, მოცემულია მათ განვითარებაში. ეს როგორხარისხოვან როლებშიც კი იგრძნობა. იულონი (თ ე ნ გ ი ზ ა რ ჩ ვ ა ძ ე) მეფის არმიის ყოფილი ოფიცერია. იგი ბეგლართან (ვ ა ლ ე რ ი ა ნ დ ო ლ ი ძ ე) ერთად ხელმძღვანელობს მენშევიკთა მიერ მოტყუებულ, იარაღსმულ და ტყვეში გახიზნულ გლუხებს. მას ისევ ენდობა ბეგლარი, როგორც საკუთარ მუშურს. ამიტომაც არის გულახდილი მათი უკანაყენელი საუბარი. მაგრამ იულონი საბოლოოდ ჩამოშორდა ფანატისკოს მეთაურს. ფილმის მთელ მანძილზე ავტორებმა იგი ორჯერ გვიჩვენეს დადებითი კუთხით. პირველად — მეალილოე ბავშვებთან, რომლებმაც გვერდი აუქცევს მის ჭიჭიარს. ამის შემსწრე იულონი წყვილია ეს უნდობლობა, ორიოდ სიტყვით სამდურავიც კი თქვა, მაგრამ მალე ხურდა ფული დაურიგა ბავშვებს, და უკვე წყენაგადასული, თავადაც აპყვა მათ „ალილოსი“. უარყოფით გმირს სწორედ აქ შეემატა დადებითი შტრიხი, რომლის შორეული, მაგრამ ლოგიკური, გაგებულება იყო მისი უკანაყენელი დიალოგი თურქეთისაკენ მიმავალ, ცხენზე ამხედრებულ ბეგლართან. მართალია, იულონი მძიმე ტვირთად აწვეს მისივე ავაცობა, მაგრამ იგი მარტო ტოვებს ბეგლარს და სოფელში აპირებს დაბრუნებას.

აი ბეგლარისა და იულონის გამოსათხოვარი დიალოგი: ი უ ლ ო ნ ი — მე ვერ წამოვალ!

ბ ე გ ლ ა რ ი — შენ გგონია, ვაპატიებენ ბოლშევიკები? ი უ ლ ო ნ ი — ვიცი, არ მპაპატიებენ, მაგრამ აქ მირჩევნია, ჩემი მიწა.

ბ ე გ ლ ა რ ი — შენი მიწა ბოლშევიკებმა წაიღეს, აღარ დაგიბრუნებენ.

ი უ ლ ო ნ ი — მე რომ მეყოფა, იმდენს არ დამამადლიან.

ამგვარად, სიყვარული მშობლიური მიწისადმი უფრო დიდია, ვინმე უსახელი სიკვდილი, მით უმეტეს თვითმკვლელობა (სარწმუნორო სენარში იულონი თავს იკლავს). თ. არჩავაქ დამაჯერებელი და უშუალოა თავის როლში.

ბეგლარს მკვეთრი საღებავები მოუძებნა ვ. დ. ო. ი. ძე მ. იგი ბორტი, დაუნდობელი და ფიცხია. ბეგლარს ხალხის გულის მოგება მოგონილი სიმშვიდითა და მაღალფარდობით სიტყვებით სურს. ხოლო როცა არც ერთი მათგანი არ გაუჭრის, მაუზერს აძლევს უკანაყენელ სიტყვას და ტყვეთი სვამს წრტილს. ფილი ბეგლარი ხალხის გადმოსაბრებლად საზეიმო ტონში აუწყებს გლუხებს: „მამულიშვილონი!.. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, რა თქმა უნდა, რუსეთში დამარცხდნენ ბოლშევიკები“.

მაგრამ ასე უბრალოდ ვერ შეაცდნენ ხალხს, რომლის სახელეთი სიპიტო მორალურად ამარცხებს ფანატისკოს მენშევიკს და იქვე მოუჭრის:

„ხომ გაიკონეთ, ხალხო, რა თქვა ამ პატიოსანმა კაცმა? მადლობა ღმერთს, უჩვენოდ მოუთავებიათ ყველაფერი. ჰოდა, რაღას უყურებთ ახლა, დაყარეთ ეს თფვენი და ყანებს მივხედოთ!“.

ბეგლარი-ლოლიძე არ იზნევა და პასუხობს: „დაიცათ, ამხანაგებო! გამარჯვებას განმტკიცება სჭირდება...“

ბეგლარმა და მისმა დამჩაქაშებმა მოახერხეს მოწინავე ადამიანების შეპყრობა და ეკლესიაში გამოაწვედიეს. ახლა ეკლესიასთან ვანაგრობის ბეგლარი ავიტაცის:

„აჯანყებულ ქართველ ხალხს დღეს მთელი ევროპა უჭერს მხარს! დიახ, ევროპა ჩვენთანაა! ბათუმისა და ფოთის ნავსადგურში იხვლისისა და საფრანგეთის სამხედრო ხომალდები დგას!“.

ამ მონაჭორსაც ცივი წყალი გადაესხა. ამჯერად დაპატიმრებულმა აფრასიონმა იმარჯვა და ეკლესიის სარკმლიდან გადმოსძახა: „კი, რაჯა არა! ორი კრესირი სუფსაში შემოსულა თურმე და ახლა აქეთ მივტრავენ“. ხალხში სიცილი ატყდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გლუხები აფრასიონის მხარეს არიან. ბეგლარი მაინც ახერხებს გლუხთა „გაფორმლებას“, მაგრამ მისი ეს კავშირი ხალხთან იმდენ-

ნად სუსტია, რომ ქალბინის ერთი გონებამახვილური „სკლის“ შემდეგ ბეგლარის „არამა“ ხუზულადავით იმღე-ბა. ბეგლარი — ეს „კოლდვიანი კაცა“ — განწირულია და მისი სახით მენწმევიკონი მითარობდაც.

კოლორიტული, ბუნებრივი იუმორით აღსავსე პერსო-ნაჟია სიბიჭო. მასიბობს გულმოდგინედ უმუშავებია როლ-წყე და არ გატირებია საკუთარი ნიჭიერების გამოვლენა. მისი სიბიჭო გონებამახვილი, საზრიანი, კაცთმოყვარე გლხია. მართალია, სოფელში სიბიჭოს „სანდო“ კაცად არ იცნობენ, რადგან საიდუმლოს ვერ ინახავს (სამალაგაი-დან გამოსული იასონი პირდაპირ ეუბნება სიდონისა — ვილას დავემლო, გინდა სიბიჭოს სცოდნობას ჩემი შინ და-ბრუნება და გინდა მთელ სოფელს), მაგრამ იგი მაინც კვილი გრძობებს აღგვიძრავს. შ. შერვაშიძის სიბიჭო მი-ზონდელგია სიდონისადაც საუბარში, როცა შემთხვევით აღ-მოაჩენს ნალოამი შეყუჟულ „დეზერტირს“ — იასონს. სი-დონისამაც დალანდა ქმარი, სიბიჭოსაგან დამალულად გიე-ჩრჩინავსა კიდვე, თუმცა არ შეიმჩნია. სიბიჭო მაინც მიე-ხვდა, აინფუნჯ არ ჩაავლთ სიდონისა მოფინილი სიმშვე-ნი, მაგრამ ნაჩქარევად გამოწვევლო თხასათა ერთად ჭიშ-ქანად ძლივს მიავარა მოთმინების გორგალი. აქ კი გა-წყვედა: „სიდონია, ბრძენი ქალი ხარ, ჩემი სწავლება რად ვინდა. ძილა, მაგ ლუნჩს უთხარა, ამაღამ ჩემთან დაწვეს. ვინ იცის, იქნებ ქე მოაკითხონ ოჯახში და გასკანაჩვენ ვითხასავითი“.

ორმაც ცეცხლში ჩაგარდნილმა სიდონიამ მეზობელს უკებ ვერ გაუხსნა გული: „ვერ მიხვდეს, სიბიჭოს ჭირი-„დეზერტირს“ გასძახა: „შენ ხომ მიხვდი, იასონა?“

ეს ადგილი ფილმში მისი ავტორებისა და ოპერატორის მიერ ისტატურად არის გადაწყვეტილი, მაგრამ იგი უფრო გაამდიდრა შ. შერვაშიძის საზრიანმა თამაშმა. მასიბობის ნიჭიერება კვლავაც გამოვლინდა, განსაკუთრებით დეზერ-ტირების სცენაში და კრებაზე სოფლის კულბში. სამწუხაროა, რომ ფილმის ბოლო ნაწილში ეს პერსონაჟი სადღაც მიიკარგა.

„წუთისოფლი“ უხვპერსონაჟიანი ფალომა და ყველა-ზე ცალ-ცალკე მსჯელობა შორს წაიყვინდა. ამიტომ ზო-გადღა ვიტყვით: თითქმის ყველა მასიბობმა წარსული დადსძლია თავისი როლი. მათ არც ნორჩი შემწარულბლე-ბი ჩამორჩნენ.

მთავარი სათქმელი მაინც სიდონისა და იასონს უნდა დავთმოს.

მაყურებელი პირველივე კადრებიდან ხვდება, რომ „წუთისოფლის“ უმთავრესი გმირია დედა, რომელიც სი-დონისა (სოფელი ჭიაურელი) სახით წარმოგვადგა. სიდონ-ისა და იასონის (გრიგოლ წიტირავილი) ოჯახის ამავე ფილმის სიუჟეტური ქსოვილის ის ძირითადი ხაზია, რომ-ლის გარემოც ვხვდეთ იასონს ყველა აუცილებელი დეტალი. აქ ფაქტურად მოთხრობილია ტიპიური გურული ოჯახის ისტორია, რომელშიც შესისხლბორცებულია და განზოგა-დებელი წარსულისა და აწმის მართალი ელემენტები. ამ ოჯახის ბედი უშუალოდ უკავშირდება სამშობლოს ხედს და ამით არის იგი ნაინტერესო. მთელი ორმოცდაათი წლის ნაწინძოზე ამ ოჯახში გაიარა ქვეყნის სისარტობა თუ წუ-ხილმა, ლხინმა თუ ჭირმა, მაგრამ სიდონისა დიასახლი-სობით განმტკიცებული კერა ვერ ჩაქრო ცხოვრების ქირ-ტებობმა, სამამულე ომით მიყვებულმა ჭირლობამ. ცხო-ვრება გრძელდება, უკეთესდება; მომავლი ახალგაზრდობაა ეჭვითვის, მან უნდა განაგრძოს მამა-პაპათა გმირული საქ-მეები, აწმის ახალი საზოგადოება. ეს ოპტიმიზმი წითელ ზოლად გასდევს „წუთისოფელს“.

ფილმში მოქმედება დინამიკულად ვითარდება, მაგრამ იგი სასვავა ლირიკული ფერებით, კოლორიტული სცენე-

ბით. ამისი თხრობა პოეტურად და ლაიონური, მართალია უპრეტენზიო. და ესეც სიდონია-იასონის წყალობით ხდება.

სიდონია არც რევოლუციონერია, არც სოფლის წარჩი-ნებული ადამიანი. მის პიროვნებას გარკვეული იარღლიც არ აძლიერებს. იგი უბრალო გლხის ქალია, ძლივს დაუ-ვლებია წერა-კითხვას, ამდენი ხნისა და ფეხიც კი არ გაუ-დავანს სოფლიდან, ასე ვიყავთ, გამოსული ქალია, მაგ-რამ ხუთი შვილის დედაა, მეუჯრე დიასახლი, კითხილი მეზობელი, გულიდა ადამიანი და ყველაფრის გუმანიტი გან-მჭვრეტელი პიროვნება. ეს სახეებით საკმარისია სიდონისა სულიერი სიმდიერე-ძლიერების დასადგენად. მას თითქმის ინტუიცია უკანანებს, როგორ მოიქცეს, როგორ აყვებს ააა-ყოლოს, როგორ ებრძოლოს მოგონებობას, როგორ გაუ-სწიროს თავი გასაჭირს, როგორ ადამილისი ჰუმანობა საწყისები და ყველაფრს თავისი გაიტანის ბუნებით მომად-ლებული უბრალოებითა და საზრიალობით. ასეთია ომივეო ჭიაურელის მიერ შექმნილი იერსახე და მაყურებელსაც სჯერა მისი.

მასიბობის წინაშე ძნელი ამოცანა იდგა. მის გმირს უნდა გაეგო ცხოვრების რთული გზა ახალგაზრდობიდან ღრმა მოხეტიალობამდე, ქალიშვილობიდან ბებიობამდე. ეს გზა დამაჯერებლად გაიარა მასიბობმა და თავისი შემოქმედებით ბიოგრაფია კიდვე ერთი საუკეთესო რო-ლით შეავსა.

ს. ჭიაურელის სიდონიასთან დაკავშირებით მრავალთა შორის დამაჯერებლად ორი ერთმანეთზე უკეთესი სცენა, რომ-ლებშიც დამაჯერებლად გამოჩნდა სიდონისა საზრიალობა, თავგანწირვა და ორგანიზებულიობა.

პირველი სცენა. მეფის ჯარისად გამოპარული იასონი სახლში იმალება. მას, როგორც დეზერტირს, დასერტა ელის. საშინოოების მოლოდინმა სიდონისა სული აუფო-რიოაქა. და აი, ეს საშინოოება რამდენიმე შეიარაღებული ჯარისკაცის სახით რკალურად მოადგა სიდონისა ჭიშ-ქრისი. მდგომარეობა იეთქვის გამოუვალაია, იასონი განწი-რულია — ასე ფიქრ იხს სიდონია. მაგრამ მისი საზრია-ლობა მოლოდინს აჭარბებს. იგი ხორაგით დატვირთულ ტაბაკს წაბოვლებს ხელს და მით ქმრის „შესაკარბად“ მოსულ ჯარისკაცებს უხოს შორეული კუთხისაგან გაი-ტყუებს. ფანდა გასჭრა (ასე სჯერა სიდონისა). სიბიჭოს დახმარებით ჯარისკაცი ღვიზის მიეძღუნენ. მართალია, აქ სიდონისა შიში უსაფრთხოდ აღმოჩნდა, რადგან ჯარის-კაცები იასონის მსგავსი ლტოლვილები გამოდგენენ, მაგ-რამ მასიბობმა ამ სცენით ხაზი გაუსვა სიდონისა შესასურ საზრიალობას.

მეორე სცენა. ბეგლარიკანი მოტყუებული გლეხები ტყეს შეიხვებიან. ჭირანახული იმ ზედა მინდორში. ქალე-ბი სიდონისა მიმართავენ დახმარებისათვის, რადგან მისი აფრასიონი უკვე „მოაფრების კაცია“. სიდონიამ სიამაყის გრძობით მიიღო „მოაფრების კაცის“ დღის ტიტული და გამოსვლიც მოძებნა — ბავშვებატყუებელი ქალბერი ტყე-ში მიგაგავა ქმრებს. ამ თითქმის უწყინარმა ამავემა ტიპ-მეტრალურად მსგავლა ვითარება. მართალი თქვა ბეგლარ-ის ერთ-ერთმა აფსონმა: ამ დედაკაცების მოსვლას არ ჯობდა ჩვეა დაგვეცოდა თავსუო? ქალბინმა ბავშვები ხელ-ში შეატყუეს ქმრებს და სიდონისა მეთაურობით „დედე-კაცია“ სოფლისკენ გამობრუნდა. ასე დაბრუნდა ბეგლარის „დეშქარი“ ქალბინ და მან მოხარულია გაბრუნებული ქმრები.

ამავე სცენაში ს. ჭიაურელმა იწყებით უბრალოებითა და გამომდობლით მიიტანა ხალხამდე მართალი სიტყვა: „ხომ თქვა მთავრობამ — ვინც იარაღს ჩაგვაბარებს, ვააა-ტიობით?“ გლეხები ეჭვით: ბეგლარი მესხედ გამოსრის: „ხოლმევიცხობა თავიანთი ბუნებით მოატყუნენ! ვიცით, რა

ფასიცა აქვს მაგად დაპირბაბს!.. მაგრამ სიდონია არ დრეკა, მისთვის მთავარია ღირსეულად დაიჭიროს თავი და სიმართლეს არ უღალატოს, შენზე არ უქუთვამს მოვაგრობას — ვააბატიეთო! — პირში მიახლოს იგი ბეგლას და ფაქიოლოგიურად გამარჯვებული ტოვებს იქაურბას. გადაუჭარბებულად შეიძლება ითქვას, რომ ს. ჭია-ურელმა მხატვრული მგზნებარებით შექმნა ქართველი დე-ვის დანახანსოფრეული სახე, რომელიც უთუოდ თავის ადგილს დაიჭირს ქართული კინემატოგრაფიის საგანძურ-ში.

ფილმის ამ უმთავრეს გმირთან დაკავშირებით ზედ-მეტად მიგავარია სიდონიას მიხედვით სკოლაში, სადაც ეკა გაკვეთილს ატარებს. ამ ეპიზოდში რაიმე ახალი, საინტე-რესო და აუცილებელი ვერაფერი გვითხრა ს. ჭიაურელმა. არც გრძობა მოსაწონი, რომლის აშკარა უფარვისობამ რამ-დენიმე შემთხვევაში გაგვიხელოვნურა სიდონიას მოხუცე-ბულოსის ბუნებრივობა.

იასონის იერსახე ოსტატურად გამოძერწა გრიგოლ წი-ტიანიშვილმა. რბილი ტონებით დახატული ეს პორტრეტი გვიხიბლავს გულწრფელობით, საინო ღიმილითა და ღრმა სისადავით. ამ შვიდობიანი ხელობის კაცს (იგი შეაკენება) იარაღი ჭირიანი უკავრება (თოფი ქათმის ხელბუდელად გამოიყენებ — ეუბნება იგი სიდონიას). იასონი აუქჩარე-მელია და ბრძენი, ოჯახის მოსაყვარეულ და ოქროპირი. მას პოლიტიკა თითქოს არ აინტერესებს, მაგრამ სიტუა-ციას მალე უღებს ალღოს და, როცა საჭიროა, სწორ და გადაწყვეტე ნაბიჯს ღვამს. ამ მხრივ მეტად დამახასიათე-ბელია სცენა სოფლის კლუბში.

შესაძლოა, ეს სცენა ოდნავ ზედაპირულად მოგვეჩვე-ნოს, კერძოდ აფრასიონის წყალობით, რომელმაც ერთობ პრიმიტიულად განმარტა კოლექტივის არსი, მაგრამ მასში შექმნილი სიტუაცია მხატვრულად დამაჯერებელია, იგი საყვარელი იუმორით, პერსონაჟთა ხასიათების კონტრას-ტულობით, ბრძოლის სოციალური სიმწვავეთი (აშკარა მტე-რი არ ჩანს, მაგრამ აშკარა მისი ბოროტი საქმე, რომელ-საც ტყვეობა წყვეტს), იასონის ხასიათის გახსნილი.

შშობლები შუაშფოთა აფრასიონის „ბეჭურება“. ხალ-ხი ჯერაც არ არის გარკვეული — სასიკეთოა კოლექტივი თუ სახიანი. ახლა ჯობს აფრასიონსა და მის შშობლებზე უნდა გადატყდეს. ვითარება დაიძაბა და სადღეორგანიზა-ციო სიტყვამაც იპოვა გზა: „კაცო, კოლექტივი რომ კარგი საქმე იყოს, იასონს ვინ შეასწრებდა!“

აფრასიონი მიხვდა რაშიც იყო საქმე და მამას გადასე-და. იასონი დინჯად წამოდგა და ალაპარაკდა: ათ წელი-წადს ვუყრიდი თავს... ხარების საყიდელ ფულს. ოჯახს ლუკმას ვაკლემდი და... ისე ვავრთვედი. ჰოდა, ახლა ჩემ ხარებს... კოლექტივი... ვინმემ შოლტი რომ უშნოდ გა-დაჰკრას, ზედ შევაკვებდი!

— ამა ვამბობ მტე! — იმწამე შეეწია ხმა.

— დამაცადე (აღელდა იასონი, ხმას აუწია, ტემს მოუჩქარა), შენ რა იცი, მე რას ვამბობ! — და განაგრძობს, „სიდონია, ქალო, აიღე ქაღალდი და შენი ლამაზი წელიწადი ჩააწივიცი: შემოხდივართ კოლექტივი-თქვა“.

სიტყვიერ განცხადებას დაწერილიც მოჰყვა — სიბი-ტომ ქაღალდი ააფრიალა და ამაყად დასძინა: „ამხანაგო აფრასიონ! ბიძიკო!.. სანამ ვეღარ დავწერდეს, მე უკვე დაწე-რილი მაქვს აგერ და ჩაიბარე!“

ამით ჩაქუშდა პრეოკატიონი. გ. წიტიანიშვილმა კი სა-ბოლოოდ გახსნა იასონის იერსახე, გადაავიშლა მისი მო-ქვიანებულება ახალი ცხოვრებისადმი, რომელსაც ქვეშე-წეულად მანამდე გვიხველდა.

გ. წიტიანიშვილი განსაკუთრებით მიწიერია და უშუალო სიკვდილისწინა სცენაში. ეუბნება ამ დროულ, სპეცეკ, სა-ყვარულად მომზირალ კაცთან განშორება; ცოლ-ქმრის ეს უკანასკნელი საუბარი ღირიკულ წიაღვლად გვესახება, რადგან იასონი აქაც ხუმრობს: ისე, მეც კი იშმაკი ვარ, — ეუბნება იგი მეუღლეს, — ისეთ დროს გტყეპ, გასა-თხოვრად აღარც კი ვარჯიხარ. ან: ვიცე, მოგენატრები, მა-რა მაინცდამაინც ნუ იქნებარე ჩემსკენ. — და მაინც მიდის ელემოხილი იასონი წუთისოფლიდან, ოჯახში კი გადი-მებუღი პორტრეტის სახით რჩება მისი ნათელი.

უკმით გამოთქმული მცირე შენიშვნები, ზოგიერთი სხვა წერლობანი და რამდენიმე გაჭიანურებული კადრები სიდონიას ოჯახში მოწყობილი ზეიმისას შვილების საუა-ტივცემულად (მისი ოდნავ პლაკატურობაც) ღირსებას ვერ უკარგავს ფილმს, მიუღ შემოქმედებით კოლექტივს, რო-მელმაც ერთ-ერთი საკვეთესო სურათი შესძინა ქართულ კინემატოგრაფიას.

„წუთისოფელი“ ნამდვილად ეროვნული ნაწარმოებია; ფილმში ტრიალებს ქართველი კაცის სული, ქართული ხა-სიათი, ქართული ბუნება. მასში უხვადაა გამოყენებული მახვილსიტყვაობა, ხალასი და ორმასზროვანი იუმორი, შე-ქმნილია ბრწყინვალე სცენები, ხალხურ ნიადგზვა დაფუ-ძნებული მსღ. მუსიკა, რომელიც ცნობილ კომპოზიტორ რევაზ ლალიძეს ეკუთვნის. საიმოვნებას გვეგრის ოპერა-ტორ გ. რაჭველიშვილისა და მხატვარ შ. გოგოლაშვილის ჭეშმარიტად ოსტატური ხელოვნება.

სცენარისტმა ს. ქვინტიმ და რეჟისორებმა შოთა და ნოდარ მანავაძეებმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს ამ მართალი, ცხოვრებისეული ფილმის შექმნით. დაახ, ისე-თია ცხოვრება, ჩვენი წარსულისა და აწმყოს წუთისოფე-ლი, როგორც ფილმშია დახატული.

ხელოვანი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, რომ მისი ქმნილება ხალხის სულიერ საზრდილ იქცეს, მიიღოს და შეიყვაროს იმან, ვისთვისაც იგი შეიქმნა. ჩვენი აზრით, ეს მისია უდავოდ შესრულა „წუთისოფელი“, რადგან მასე-რებულად ამბობს — „კარგი ფილმია!“



ბენიალური ქმნილების ბედი

ზურაბ ქავიანიძე

რძობრძ ხშირად, ახლად განმორდა ამ შესანიშნავი პიესის ბიოგრაფიაში ცუდი შემთხვევა...

ეკრანზე ვერ უნახეთ შექსპირის „მეფე ლირი“.

ამას თავი მიზეზები აქვს.

შექსპირის მიხედვით ასეა პიესაში:

კენტრი და გლოსტერი მეფის საიდუმლო სათათბიროდან გამოდიან, ირგვლივ სიცარიელეა.

ფილმში — პირიქით.

პიესაში: სათათბიროდან ახლად გამოსული კენტი და გლოსტერი მეფის საიდუმლოებაზე ლაპარაკობენ, მსჯელობენ ისე, რომ არაფერს გაიგოს. მათთან განდგება ედმუნდი, ყურის წაკერას ცდილობს თავისი ხასიათის მიხედვით, ეს უკანასკნელი კი საუბარს წყვეტენ.

ფილმში ასე არ ჩანს.

შექსპირი — ელგარი იქ, იმ არემარემო არაა, საიდუმლო სათათბიროს შორიახლო არ დაძრწის.

ფილმში კი... იქ არის ისიც.

პიესით — ჯერ ვიწრო წრეში ითათბირა მეფემ სამეფოს განაწილების შესახებ და მერე გააცნო სასახლეს.

ფილმით — ხალხი სამეფოს ყველა კუთხიდან მოდის...

შექსპირმა იცის, სახელმწიფოს ახალი კანონი რომ გააცნო, მთელი ხალხის შემოკრება არ არის საჭირო. თანაც, სასახლეში საერთოდ ყველას არ უშვებენ.

პიესით — მეფის სასახლის ფართო, ნათელი, მდიდარი ოთახი.

ფილმით — პირიქით.

პიესით — ლირს მეფობის დროს მასხარა არ ახლავს...

გვირგვინოსანს მასხარა რომ ყვარებოდა, სიმართლევ ყვარებოდა და შექსპირს აღარც დასჭირდებოდა პიესის დაწერა, რადგან მეფეს შეცდომები აღარ ექნებოდა (კენტის გაგება, კორდელიას მოკვება, სამეფოს დაყოფა, გონერილასა და რეგანას სიყვარული, ალბანის ნაკლები სიყვარული, კონსულის მეტი სიყვარული, გვირგვინის გადაცემა). მასხარა სიმართლის განსახიერებაა. პიესის დასაწყისში სიმართლე საოცრადაა დამახინჯებული მეფე ლირისგან. ალბათ ამიტომაც, შექსპირს მასხარა ნახსენებიც კი არა ყავს.

ფილმში კი, პირიქით, მეფესთან ერთად შემოდის მასხარა.

შექსპირი — ლირი პირწავარდნილი მეფეა... მდიდა

კალრი ფილმიდან „მეფე ლირი“.
ლირი — ი. იარვეტი, კორდელია —
ვ. შენდრიკოვა.





კადრი ფილმიდან „მეფე ლირი“.
მასხარა — ო. დალი, ლირი — ი. იარ-
ვეტი.

რი, ადამიანური თვისებების გარეშე. იგი მბრძანებელია, მრისხანე დიქტატორი. მ.ს.ში არ არსებობს ადამიანური უბრალოება. ამიტომაც ასე საზგასმით მიგვანიშნებს შექსპირი იმ ადამიანურ თვისებებს, რომელიც მეფეს არ გააჩნდა (სიმართლის ცნობა, კეთილის გარჩევა, ბოროტის ამოცნობა დარბაისლურად აქონა და ისე გადაეჭრა, კაც-მეფეს რომ შვენის და არა მარტო მეფეს. ლირი დაბრმავებული იყო მეფობის უფლებებით — ის ხომ ბავშვობიდან მეფეა და სხვა არაფერი იცის. მლიქვნელების საშინელი სიყვარული, რომლის იქითაც ვერ იხედებოდა), პიესის ბოლოს შეიქმნს და ლირი სრულყოფილი პიროვნება ხდება; შექსპირიც გზას უხსნის ტახტისკენ.

ფილმით — ეს არსად არ არის.
შემდეგ... ყველასათვის გასაგები ფაქტი — შექსპირი თვით მეფეს აცხადებინებს თავის ფარულ განზრახვას.

ფილმით კი — ვიღაც კითხულობს...
ეს რომ საჭირო ყოფილიყო, შექსპირი თვითონაც მოახერხებდა...

შექსპირს — მეფე ჰყავს წარმოდგენილი: — მეფე თავით ფეხამდე, გარეგნულადაც კი, დიქტატორი, ოღონდ შეცდომებიანი და როცა თავისივე შეცდომების წყალობით იგი ჩაუარდება უბრალო, უყურადღებო მდგომარეობაში, სწორედ ასეთ გადასვლაშია მთელი პიესის მადლი.

ფილმში — შემსრულებელი სრულიადაც არ გავეს შექსპირის ლირს, ხოლო გადასვლა საერთოდ არ არის.

ლირი ისეთი პიროვნებაა, რომელიც მალე გრძნობს თავის შეცდომებს და ხედება სიმართლეს. ხუმარა რომ შიშველ სიმართლეს მიახლის და თავის თავში ჩაახედებს, ნამეფარი მხოლოდ ასე პასუხობს: „ო, რა მწარედ მომდო ამ გეკლიანმა!“...

პიუტო — „ადამიანის გარეგნობაზე მისი ცუდი თვისებები არ არის დამოკიდებული. ლამაზი გარეგნობის ადამიანებს ისევე აქვთ სისხარბე, შიში, ღალატი, აუტანლობა, გაუტანლობა, როგორც ყველა ადამიანს...“ ეს, ალბათ, იცის რეჟისორმაც, მაგრამ პრაქტიკულად არ მოქცეულა ასე (გონერია, რეგანა). შექსპირმა თვით ედმუნდში უამრავი ადამიანური ჭუჭყი მოაგროვა, მაგრამ გარეგნულად მაინც მშვენიერი ჰყავს...

კარგი სენაა კორდელიას სიკვდილი ფილმში, მაგრამ, შექსპირის მიხედვით, ციხეში ხდება ეს ამბავი და მხოლოდ ერთი თუ ორი კაცია მისი მოწმე...

რეჟისორი კი კინოში ისე დაარბენინებს ხალხს, თითქოს მარტო ლირს დასდევდნენ... სინამდვილეში კი ლირმა გვირგვინი მოიხადა თუ არა, ხალხმაც მიატოვა (ახლობლების გარდა). ხალხისთვის მეფე-გვირგვინი ან მთავარი, თორემ, კაცი-ლირი ვინდაა, არც იცნობენ და არც უნდათ. ეს ერთი დედააზრთავანია პიესისა...

ერთი სიტყვით, მიტოვებული არა ჩანს ლირი...
შექსპირი სიმართლის მოყვარეა და კიდევ ამარჯვებინებს სიმართლეს. პიესაც ასეა.

ფილმში კი — მასხარა-სიმართლე ღვთის ანაბარადაა მიგდებულნი ქუჩაში...

აქაც თავდაყირა დგას შექსპირის ნათქვამი...
მთელი ამ ორსერიანი სურათიდან მხოლოდ ერთი სცენა შეეფერება შექსპირისეულს: ლირი რომ ცრემლს უსინჯავს კორდელიას.

და ბოლოს.
თუ შექსპირის პიესა ისე ვერ გაიგე, როგორც საჭიროა, მასთან ჭიდილში ხელმოკარული დარჩები...



პასტანე ბარიში (ვანაძე) ეკუთვნოდა იმ ხელოვანთა რიცხვს, რომლებიც ხელოვნებაში დაუცხრომლად ეძიებდნენ მშვენიერებას. მისი ცხოვრების შინაარსი თეატრი იყო, რომელსაც იგი უნაგაროდ ემსახურებოდა.

ვახტანგ გიორგიის ძე ვანაძე¹ დაიბადა 1896 წელს, კახეთში, სოფ. ბაკურციხეში. დაწყებითი განათლება მიიღო სიღნაღში, საშუალო — თბილისის პირველ კომერციულ სასწავლებელში, უმაღლესი კი — მოსკოვის არქეოლოგიის ინსტიტუტში.

თეატრისადმი სიყვარული ვახტანგს სკოლიდანვე გაუღვივდა, მოსკოვის თეატრალურმა აკადემიამ კი გაუღრმავა ეს სიყვარული და, არქეოლოგიის შესწავლის პარალელურად, შეცადინებოდა დაიწყო მცირე თეატრის დრამატულ სტუდიაში, რომელსაც ა. სუმბათაშვილი-იუქინი ხელმძღვანელობდა. ის „იყო ჩემი მასწავლებელი და გზის განმანათლებელი თეატრალური ხელოვნების დარგში“² — მადლობებით წერდა ვახტანგი.

ვ. გარიკის რეჟისორული დებიუტი შედგა 1918 წელს თბილისის სცენაზე, როცა წარმატებით განახორციელა ა. ერისთავ-ხომტარაის მოთხრობის „მოლიბუდ გზაზე“

ყენა³, რომელიც უნდა გამოსატბოდეს საბჭოთა ეპოქის აწმყოსა და მომავლის ასახვაში. ხელოვნებას კარგად მოეძინო თეატრს, აღმზრდელიობით დანიშნულება უნდა ეძიებოდა. ის უნდა დაეხმაროს სოციალისტურ სახელმწიფოს მშრომელი მასების იდეურ, პოლიტიკურ, მორალურ და ზნეობრივ აღზრდაში, საბჭოთა ხელოვნების ესთეტიკური პრინციპების ჩამოყალიბებაში, მუშათა და გლეხთა აუდიტორიის ეგზოთეზის დახვეწაში.

ახალ დროს მისი თეატრისებრივების ამსახველი ახალი სტილი უნდა შეექმნა თეატრში. ვ. გარიკი აღიარებდა სოციალისტური რეალიზმისა და რევოლუციური რომანტიზმის პრინციპებზე აგებულ გმირულ-მონუმენტურ თეატრს. საბჭოთა თეატრის იდეურობის, მისი ღრმა აზრებისა და სოციალური პათოსის გამოსახატავად ეს სტილი მას საუკეთესოდ მიაჩნდა. ვ. გარიკის რეპერტუარში ყოფილი პიესებიც იყო, მაგრამ, როგორც თვითონ აღნიშნავდა, ამ შემთხვევაში ის თეატლისწინებდა მასურებელთა გემოვნებას, თუშეცა კარგად ესმოდა, რომ „ხელოვნება ჩვენ მასების შეგნების დონემდე კი არ უნდა დავადაბლოთ, არამედ მასების შეგნება ავსოთ ხელოვნების მაღალი კულტურის საფეხებზე“⁴ იხილავდა რა საკითხს, როგორი იქნებოდა ახალი თეატრის ფორმა, იგი ამბობდა: ის იქნება პირობით-რეალისტური, „წავა რეალისტური კონსტრუქციის ფორ-

პასტანე ბარიში და თეატრალური ხელოვნების საკითხები

ეთერ ქაჯაია

დადგმა საკუთარი ინსცენირებით. ამის შემდეგ გარიკი წლების მანძილზე რეჟისორობდა თბილისის კლუბებსა და „წითელ თეატრში“⁵, სიღნაღის, თელავის, ზუგდიდისა და სოხუმის თეატრებში, ამუშავებდა თეატრალური ხელოვნების თეორიის საკითხებს, წერდა მოთხრობებსა და პიესებს, თარგმნიდა, აქვეყნებდა წერილებს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებზე.

ახალგაზრდა რეჟისორი მთელი შეგნებით იბრძოდა ახალი, სოციალისტური ხელოვნების გამარჯვებისათვის. მისი ნათელი გონება, დახვეწილი გემოვნება, ფაქიზი ადამიანური თვისებები, დაუღალავი და შინაარსიანი შრომის სითბოსა და სიყვარულს ამკვიდრებდა ადამიანთა გულებში. ეს სიყვარული დღემდე ცოცხლობს.

მისი მოღვაწეობა შეწყდა 1937 წელს, 41 წლის ასაკში, როცა იგი ეწერებოდა და მომავლის გეგმებით იყო აღსავსე. ვ. გარიკის შემოქმედებას მიეძღვნა ვ. ქარელიშვილისა და ვ. კიკნაძის გამოკვლევები, მაგრამ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყოველმხრივი შესწავლა მომავლის საქმეა.

ვ. გარიკი ერთ-ერთი პირველთაგანი ჩადა პროლეტარული ხელოვნების მასახურში. იგი კარგად გრძობდა, რომ „რევოლუციამ ძველი ქვეყანა წამოაყარა და მასთან ერთად თეატრის ხელოვნებასაც ახალი მოთხრობილება წაუ-

მის განვითარების გზით, თეატრი მოგვეცემს ჩვენი ცხოვრების ახალ მშენებლობას, მაგრამ ამა-სთანავე ერთად მოგვეცემს ახალი ადამიანის სახეს, თანამედროვე გმირულ პათოსს“⁶.

ინდუსტრიულ ეპოქას თეატრში თავისი დინამიკობა და რიტმი შეუქმნა, რასაც რეჟისორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა: „სცენაზე არაფერი არ უნდა იყოს სტატიკური, ყველაფერი მოყვანილი უნდა იყოს მოძრაობაში, მსახიობებთან ერთად უნდა მოძრაობდეს მის გარშემო მდებარე არე“⁶.

თანამედროვე რიტმზე აგებულ ახალ თეატრს იგი უპირისპირებდა უსიცოცხლო, რეფექსურ მოძრაობაზე აგებულ ნატურალისტურ თეატრს. გამოირჩეოდა დინამიკობით, ემოციური სიღრმით. თუ მის სპექტაკლებს ნაკლები გააჩნდა, ეს რეჟისორის მცდარი პოზიციით კი არ ყოფილა გამოწვეული, არამედ ასეთი იყო პერიფერიული თეატრების ხედი. მათ არ ჰყავდათ პროფესიონალი მსახიობები, სცენისმოყვარეთა დაისტატების კი წლები სჭირდებოდა; პერიფერიის თეატრებში არც ტექნიკურ-ორგანიზაციული საკითხები იდგა სათანადო დონეზე. ითვალისწინებდნენ რა მასურებელთა ჯერ კიდევ დაუხვეწავ გემოვნებას, რეპერტუარში თავს იჩენდა ეკლექტიზმი, ძლიერი,



ვახტანგ გარკავი.

თანაბარი მუშაობის წარმართვა თითქმის შეუძლებელი იყო. მაგრამ მთელი ეს პერიოდი თავისი წარმატებებით თუ წარუმატებლობით ნიადაგს ამზადებდა ახალი ხელოვნების სრულყოფისათვის. „საბჭოთა თეატრი ოპტიმისტური ხელოვნების თეორიაა. იგი მოწოდებულია შექმნას, განამტკიცოს ისეთი ახალი ფორმები და ახალი შინაარსი, რომელიც სახელს გაუთქვამს მომავალ თაობებს ეპოქებში.“⁷ — წერდა ვ. გარკავი.

რეჟისორი უარყოფდა სხვადასხვა მიმდინარეობას თეატრში. თავისი დამოკიდებულება მათ მიმართ მან გამოხატა ვ. ი. ლენინის სიტყვებით: „მე არ ძალბობს ჩაკეთებული ექსპრესიონიზმის, ფუტურისმის, კუბიზმის და სხვა „იზმების“ ნაწარმოებები მხატვრული გენიის უმაღლეს გამოხატულებად. მე ისინი არ მესმის. მე მათგან არაფერი სიხარულს არ ვგრძნობ“. ებრძოდა რა ფორმალისმს თეატრში, იგი წერდა: „რეჟისორმა, რომელმაც თავისი მთავალეობა ისე გაიფიქრა, როგორც ცარიელი ექსპერიმენტობა, საკუთარი გზის ძიება და საკუთარი თეატრის შექმნა, ახალ თეატრში ერთი წუთითაც არ უნდა იყოს დაშვებული. რეჟისორს, რომელიც მხოლოდ გარეგნულ ფორმალისმში არის გადავარდნილი, მთელი სიძიმე გადააქვს ბუტაფორიაზე და გამორჩენილი აქვს მსახიობის ხელოვნება — ის ახალი თეატრისათვის ვერაფერს ვერ შეგქმნის.“⁸ და რა ახალ თეატრისათვის ვერაფერს ვერ შეგქმნის.“⁸ და რა ახალ თეატრისათვის ვერაფერს ვერ შეგქმნის.“⁸ და რა ახალ თეატრისათვის ვერაფერს ვერ შეგქმნის.“⁸

ბუტაფო იყო, თეატრში ფორმალისმის მიმდევრად გამოცხადეს:

«Он был подвержен сильному влиянию формалистического театра. Для его режиссерской манеры характерно стремление к формально понимаемому им синтетическому искусству, в котором актеру почти не оставалось места. Это приводило В. Гаррика к отрыву от жизни, к пренебрежению драматургическим материалом.»⁹

თუ რამდენად ფორმალურად ესმოდა ვ. გარკავი სინთეტიკური ხელოვნება, ეს ჩანს მის წერილებში. სინთეზურ თეატრში ვ. გარკავის წარმოდგენით მსახიობი იქნებოდა მამობრავებული ღერძი, რომლის შემოქმედებაშიც შეერთდებოდა ხელოვნების ყველა დარგი. იხილავდა რა სოხუმის თეატრის 1936-1937 წლების სესიას, რეჟისორი წერდა: „ჩვენი თეატრი სინთეტიკური თეატრია, სადაც დიდი ყურადღება ეთმობა ინთეტიკური ხელოვნების ყველა სახეობას: მუსიკას, სიმღერას, ცეკვას, დეკორაციულ გაფორმებას. მაგრამ ტერმინი „სინთეტიკური თეატრი“ არავითარ შემთხვევაში არ გვექმის მექანიკურად, მხოლოდ ცალკეული ნაწილების შევსოწმებით. პირველად, ყოველი ნაწილი ორგანულად ერწყმის ერთმანეთს და მის ცენტრში დგას მსახიობის ხელოვნება.“¹⁰ აქვე ირკვევა ისიც, თურა დიდ ადგილს უთმობდა ვ. გარკავი მსახიობს თეატრში. ეს საკითხი მისი შეხედულების ღერძია. მსახიობს იგი თეატრალური ხელოვნების ცენტრში აყენებდა და სხვა დანარჩენს მის გარშემო უყრიდა თავს. ხოლო ბრალდება იმისა, რომ მისი შემოქმედება ცხოვრებისაგან მოწყვეტილი იყო, სრულიად უსაფუძვლოა. ვ. გარკავი სწორედ იმით გამოირჩეოდა სხვებისაგან, რომ შემოქმედებით გზავს მერყეობა არ გამოუმუქლავებია. მთელი შეგნებით იბრძოდა სოციალისტური სინამდვილის ამსახველი რეალისტური ხელოვნებისათვის. მოითხოვდა, ხელოვნებას გამოეხატა მასების მისწრაფებები და იდეები. „ხელოვნება მასებს! — აი მომავალი ხელოვნების გზა. ხელოვნებას უნდა ემხიაროს ხალხი, ხელოვნება უნდა გახდეს ყველასათვის ხელმისაწვდომი და ძვირფასი.“ — წერდა იგი ჯერ კიდევ დეკადემტიკური ქარტეჯილობის პერიოდში. მისი იდეაში იყო „თეატრი დღეური, პოლიტიკური, აქტუალური შემბრძოლი ახალი იდეებისათვის და ახალი ცხოვრებისათვის.“¹¹ და ასეთი თეატრის შექმნას ხელს უწყობდა თავისი თეორიული მოსაზრებებითა და რეჟისორული მოღვაწეობით.

ვ. გარკავის თეატრალური შეხედულებები შეიცავს მთელ რიგ საინტერესო და საყურადღებო საკითხებს. თეატრის შემოქმედებითი რაობის განხილვისას იგი უპირველეს ადვილს ანიჭებდა დრამატურგიას და მსახიობს, შემდეგ რეჟისორს, რომელსაც თან მიჰყავდა მხატვარი და მუსიკოსი, ხოლო თეატრის საერთო შემფასებლად მაყურებელს მიიჩნევდა.

აი, ვ. გარკავის შეხედულებანი დრამატურგიაზე, მსახიობზე, რეჟისორზე, თეატრალურ მხატვრობასა და მუსიკაზე, მაყურებელზე.

* * *

„უსსოვარ დროიდან დღემდე დრამატურგია თამაშობდა და თამაშობს თეატრში მთავარ როლს“, — წერდა გარკავი, მიანჩნა და დრამატურგია თეატრის არსებობის პირობად, მისი მთავალი კულტურული სტილის შემქმნელად, მსახიობებისა და აუდიტორიის აღმზრდელად. ის საპარტილიანად თვლიდა, რომ დრამატურგის გარეშე თეატრი კვდება ისევე, როგორც მოკვდა იტალიური ნიღბების თეატრი კომედია დელ-არტე, ფრანგული მირაკლები და მიორალიტი.



ახალი თეატრის თავისი სახე რომ ჩამოეყალიბებინა, საჭირო იყო თანამედროვეობის ამსახველი დრამატურგია, რისი უმარტივესად განსაკუთრებით მწვავედ იგრძობოდა ოც-ოთხათიან წლებში. „ვეფხისტყაოსნის, რაც დღეს იდგმება თანამედროვე სცენაზე, მაგვის ტიტინია იმ ამბებთან შედარებით, რომელიც ხდება ჩვენი რევოლუციის ირგვლივ“¹² — წერდა ვ. გარეი 1929 წელს.

ოციან წლებში ლიტერატურისა და ხელოვნების მუშათა შორის ცხარე კამათი გაიმართა. ამ პირთა ჯიქილდში ვ. გარეი ენერგიულად ასაბუთებდა, რომ თეატრის კრიზისის მიზეზი იყო საბჭოთა დრამატურგიის სიღარიბე, რომ ჩვენი ეპოქის სტილი ს. ტრეტიაკოვის „იღრიალე ჩინეთითი“ და ბ. ლავრენევის „რდვეით“ ამ განხიზმებულად რეჟისორს არ უუღლებელყოფდა ამ ნაწარმოებთა მნიშვნელობას საერთოდ, მაგრამ საბჭოთა დრამატურგიას აკაცოლებით მტკ მოთხოვნებებს უყვებდა. მას უნდა შეექმნა ახალი თეატრი, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს დაესმარებოდა შრომელი მასების იდეურ, პოლიტიკურ, მორალურ და ზნეობრივ აღზრდაში, საბჭოთა ხელოვნების ესთეტიკური პრინციპების ჩამოყალიბებაში, მუშათა და გლეხთა აუდიტორიის გემოვნების დასეფვებაში. ისევე როგორც სოფოკლეს, ესქილს, შექსპირის, ლოპე დე ვეკე და მთლიანის მემკვიდრეობით საუკუნებში გადავიდა მათი ეპოქისა და თანამედროვეობის სახე, საბჭოთა დრამატურგებმაყ თათბებს უნდა გადასცენ მათი ეპოქის ვაჟკაცური და გმირული სული.¹³

ასეთი სწორი პოზიცია ეკავა ვ. გარეის. ის მოითხოვდა, რომ თეატრისათვის საჭირო იყო შინაარსისა და დინამიკის მიმნიჭებელი პიესა, „რადგან მხოლოდ დრამატურგს შეუძლიან განჭვრიტოს ჩვენი ცხოვრების სულიზიები, მხოლოდ პოეტური ქმნალობა იძლევა იმ კოლივიტობას, რომელიც საჭიროა თეატრისათვის“.¹⁴

ვ. გარეი პიესას ადარებდა იმ მუსიკალურ პარტიტურას, რომელიც აქლერებს საჭიროებდა; თანაც შენიშნავდა, რომ დრამატურგია ქმნის თეატრისათვის სპეციალურ რეპერტუარს, მაგრამ არ იწივას მის ფორმებს. ე. ი. იგი არ ზღუდავდა თეატრის შემოქმედებით შესაძლებლობას, დიდ ასარგებს სახას სასცენო ხელოვნების გამომსახველობითი ფორმებისა და საშუალებების საძიებლად. ამ საკითხების მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა კ. მარკანიშვილი. ეს დიდი რეჟისორი „ავტორისა და მისი სულის“¹⁵, ე. ი. დრამატურგის იდეის გადმოსაცემად თვით მოადრინისტული ხელოვნების ტექნიკურ მონაპოვარსაც იყენებდა.

საბჭოთა დრამატურგიისათვის ბრძოლის პროცესში ვ. გარეი არ უგულებელყოფდა კლასიკურ ნაწარმოებთა მნიშვნელობას, პირიქით. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მათ ახალი მსახიობისა და მსურველის აღსაზრდელად, მითითებდა მათ ამტკველებს თანამედროვე ენით. „საქმე სუჟეტზე კი არ არის, ანდა სახელებზე, ტანსამოსზე, ვინ რომელ ეპოქაში როგორ იცავდა“, თმას როგორ იცავდა, საქმე დიდაზარშია, მოტივებზეა, სულისკვეთებაშია“.¹⁵ — წერდა იგი.

„ჩემი თეატრალური კრედი გამოიხატება ერთ ლოზუნგში „თეატრი — მსახიობი“. — წერდა ვ. გარეი თავისი წიგნის „თეატრის“ პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში, მაგრამ იქვე დასძინდა, რომ გამორჩეული იყო ძველი თვალსაზრისი ამ ფორმულია, რომლის საპირისპიროდ ის უარს ამბობდა პრემიერ მსახიობზე დამყარებულ თეატრზე. ილაშქრებდა რა ძველი თეატრის ინდივიდუალისტური ბუნების წინააღმდეგ, კარიკი მიუთითებდა, რომ თეატრი, თავისი სპეციფიკით, კოლექტიური სულის მატარებელია, ამიტომ „მომავალი ახალი თეატრი პიროვ-

ნების კულტურა არ შეიქმნება, არამედ კოლექტიური შემოქმედებიდან, ხელოვანთა კოლექტიური სულიდან“¹⁶ ამით იგი სრულებითაც არ ცდილობდა, რომ მსახიობს დაეკარგა ინდივიდუალური სახე. ვირტუოზო იქნებოდა ის მსახიობი, რომელიც საკუთარ, ინდივიდუალურ შესაძლებლობას პარნიოვულად შეუთავსებდა მთელ კოლექტივს. „საჭიროა მსახიობთა მიერ ახტურაჟი ქმნიდეს რეჟისორალურ ანსამბლს“.¹⁷ — წერდა იგი. თეატრის ნამდვილი ბუნება მხოლოდ მაშინ გამოივლავებდა, თუ ყოველი მსახიობი საჭირო სიმაღლეზე იქნება. მსახიობის შემოქმედება მაინც დარჩება მთავარ ძალად თეატრისა, ის მაინც სცენის გმირი იქნება, რადგან უნახიბოდ არც თეატრის არსებობს.

თანამედროვე მსახიობმა უნდა გამოსატოს ახალი დამინის სულისკვეთება. მისთვის კი საჭიროა მსახიობის ძველი ფსიქიკისა და წარმოდგენის ახალი შეცვლა. ახალი თეატრი მხოლოდ მაშინ შეიქმნება, თუკი მის კულინგებში მოვა ახალი მსახიობი, ახალი ფსიქიკით. „ახალი საბჭოთა თეატრი მსახიობს უწინას ახალ ევოლუციის გზას და ამ გზას უნდა გაჰყვინდეს ყველა ისინი, ვისაც უნდა რომ ემსახურის მომავალ ახალ თეატრს, ძველი ფორმულები და ძველი მსოფლმხედველობა მსახიობმა უნდა სასცენით დატკინოს“.¹⁸

ვ. გარეი სამართლიანად თვლიდა, რომ მსახიობისათვის დამღუპელი იყო ამაჟღა. ის აფერხებდა მის შემოქმედებას, ბოჭავდა ავტორის ნიჭსა და შესაძლებლობას. მაგრამ თეატრში ჯერ კიდევ არჩევდნენ თვით და შავ პარიკს, ჭკაბიერ სატრფოების როლებზე ინდივიდუალდნ და ბარიკაცთა სახეებს გაურბოდნენ“¹⁹. ვ. გარეი აფასებდა იმ მსახიობს, რომლის შემოქმედებით დინამიზნი განხუასურვლი იყო. იგი ოცენებდა პამლეტის, კლავდიუსის, პოლონების, როზენგრანდ-ვილიდენსტერნის სახეების თანაბარი მხატვრული სიძლიერით შემსრულებლებზე. ასეთი ოსტატობის მიღწევა მსახიობს მხოლოდ დეულაღვი შრომით, სახეუა წინასწარი ანალიზითა და ყველი დეტალისა და სიტყვებით შეუძლია. რეჟისორი მოითხოვდა მსახიობის უშაობას კაბინეტში და მის შემოქმედებას სცენაზე.

ვ. გარეი დიდ ყურადღებას უთმობდა მსახიობის მეტყველებას. იგი თვლიდა, რომ თეატრალური ხელოვნება მთამმეჭვავია, როცა სცენაზე ძლიერია მსახიობის ფრაზა, რომელსაც აქვს საკუთარი სტილი, საკუთარი რიტმი. ასევე ჩამოქნილი უნდა იყოს მსახიობის პოსტატიკა და მიმიკა. სცენას თვისეი ესთეტიკა უნდა გააჩნდეს, აქ ყველაფერი ლამაზად, დახვეწილად და მოქნილად უნდა კეთდებოდეს. დიდროს სიტყვებით რომ ვთქვათ, „მსახიობი უნდა კვდებოდეს სცენაზე ისე, როგორც ძველი გრადიატორი არებანზე, ცირკის ტუმის გრიალის ქვეშ, ლამაზად და აკვილმობილად, ცხოველმყოფელ და მხატვრულ პოზში“.²⁰

ასე კვდებოდა ლადო მესხიშვილის პამლეტი. ვ. გარეი აღფრთოვანებული იყო ამ სცენით. ადამიანს სიცოცხლე ჭრებდა ანდლდებდა. ასეთ სიკვდილში ის ჭრებდა ზეიმზე დიდილს, მსურველის სულიერი გაფაქრების, მის განთავისუფლებას ფიზიოლოგიური განცდისაგან, ტრაგედისის შექსპირისეულ დიდებულებას.

კ. სტანიასკევი ფანტაზიას თვლიდა მსახიობის მეორე ბუნებად, ამას გამო წერდა ვ. ვახტანგოვი: „*«*Вся его «система» воспитания актера построена именно ради торжества творческой фантазии“²¹.

ხლო კ. მარკანიშვილი მსახიობს დამოუკიდებელ შემოქმედებით თავისუფლებას აძლევდა ყოველთვის.

ვ. გარეი, მსგავსად მისი დიდებული მასწავლებლისა, მხოლოდ ამ პრინციპებით ხელმძღვანელობდა. ის გამოდლიდა მსახიობის „მე“-ს წინააღმდეგ, ახალი თეატრის

მსახიობისაგან მიითხოვდა არა ფიზიოლოგიურ განცდებს სცენაზე, არამედ მაღალ ემოციურ ხელფრენებას, როლის ფსიქო-ანალიტიკური განხილვით, მეტყველებით, პლასტიკით, მიმიკით, გრძნობათა სიღრმით, რიტმითა და ტემპურამენტით მიღწევულს.

გარდასახვის მიმენტში კ. სტანისლავსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მსახიობის პლასტიკასა და მეტყველებას, სადაცვეთი ყურადღებას უთმობდა პაუზას, რადგან ფსიქოლოგიური პაუზა, ლოგიკურთან ერთად, ძირითად საშუალებად მიიჩნდა ფრაზის ქვეტექსტის გასარკვევად: «Если без логической паузы речь безграмотна, то без психологической она безжизненна»¹⁸.

კ. გარიკი კი გადამწყვეტ როლს ანიჭებდა პაუზას და შესატყვისს. იგი წერდა: «სახის მიმიკური მოძრაობა და პათეტიკური პაუზა — აი რა დაედება საფუძვლად ახალი მსახიობის ემოციებს»¹⁹.

ტერმინში „პათეტიკური პაუზა“ იგი გულისხმობდა იმავე შინაარსს, რასაც სტანისლავსკი „ფსიქოლოგიურ პაუზაში“ — («Логическая пауза служит уму, психологическая — чувству») ²⁰.

მიმიკურ მოძრაობას და პათეტიკურ პაუზას მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრული გარდასახვისას, მაგრამ ის საფუძვლად ვერ დაედება მსახიობის ემოციებს, რომელიც ამოცნებებულია წმინდა ადამიანურ ვნებებსა და დიდ ცხოვრებისეულ სიმაჩრეთზე, არამედ სხვა დანარჩენ საშუალებებთან ერთად ხელს შეუწყობს ამ ემოციების გამოვლენას სცენაზე.

კ. გარიკის შემოქმედებაში არ იჩრდილებოდა მსახიობის მოქალაქეობრივი უფლება. ის სულელი კმაყოფილებას გრძნობდა იმის გამო, რომ დრომ თან წაიღო ძველი თეატრის კულისების კომპარი, რომ ახალი თეატრის მსახიობში, ხელოვანთან ერთად, მეტყველებს ადამიანი, რომელიც ფიზიკალ დაგას ახალი საზოგადოებისა და კულტურის ადნაჯაროზე.

* * *

ახალ თეატრში რეჟისორის როლი დღითიდღე იზრდებოდა. ამას გრძნობდა კ. გარიკი და მიესალმებოდა, რადგან თვალს, რომ კოლექტიური სულის მატარებელი თეატრისათვის რეჟისორის წამყვანი მდგომარეობა მთავარი იყო. „რეჟისორი თანამედროვე თეატრში არის ორგანიზატორი, ან უკეთ რომ ვთქვათ, არის ის მესაჭე, რომელიც ერთ წუთსაც არ უნდა ივიწყებდეს თეატრის ნამდვილ სტიქიას“²¹ — წერდა იგი.

თეატრის წარმატების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად სამართლიანად ითვლება დისციპლინა, ამას კი მხოლოდ რეჟისორი აღწევს თეატრში. ამიტომ კ. გარიკი რეჟისორის დიქტატორულ უფლებებსაც აძლევდა, მაგრამ იქვე განმარტავდა, რომ ეს არ ნიშნავდა მის თავგასულობას, ყოველმორჩინებას, სასუთარი კულტის შექმნას, მსახიობთა დანაჯარვას. თეთისონ, როგორც რეჟისორი, მეტად მომთხზენი, მაკაცი და კორექტილი იყო. პირად ცხოვრებაში კი სათნო, კეთილი და რბილი ხასიათი ჰქონდა.

წერილებში თეატრზე კ. გარიკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რეჟისორ-წარმატებურებსა და რეჟისორ-მსახიობის რუთიერთდამოკიდებულების საკითხებს. რეჟისორი იგი რეჟისორმატრობის უფლებას უტოვებდა თეატრში, ხოლო წარმატებურ თეატრალურ ხელოვნების რეჟოლუციონერად თვლიდა. პრაქტიკამ არ დაადასტურა კ. გარიკის აზრი. თანამედროვე თეატრში რეჟოლუციური ძეგლის ინიციატივად სწორედ რეჟისორები გამოვიდნენ. ამას ოდნავადაც არ დაუმცირებია დრამატურების როლი, ოღონდ დაგვიანწმუნა, რომ თეატრალური ხელოვნება მასში გვემ-

ლევა, როდესაც ხდება ლიტერატურული ნაწარმოების გერმისცავლად მისთვის სცენური სიყვარლის მიმჩვევლად მხატვრულ-გამომსახველობით ფორმებში. ამჯერადაც მინაშალი თრული პროცესის წარმმართველად და გამაერთიანებლად რეჟისორი გამოდის, თუკი მან შეძლო დრამატურული ნაწარმოების გარდასახვა ხელოვნების სხვა ფორმაში — საქვეტალში, თანაც პირველს არ დაუკარგავს იდეური და მხატვრული ინტენსივობა, მეორე კი გამოვიდა ყოველმხრივ სრულფასოვანი, იმარჯვებს თეატრიცა და რეჟისორიც.

თავისებურია ვ. გარიკის შეხედულება რეჟისორისა და დრამატურების ურთიერთობაზე. იგი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ რეჟისორის მუშაობა პიესაზე უნდა ედინობატებოდეს ნაწარმოების იდეის, მისი დედადაზრის ნათელყოფაში, მოქმედ პირთა სოციალური უნების გამაღვივებაში. გარიკი ეწინააღმდეგებოდა კლასიკური პიესისთვის თანამედროვეობის ფლერადობის მინიშუმის მიზნით მის ნაწილებად დაშლას, სცენების გადაადგილებას, ადგილების შესწორებას და ა. შ. იგი მიითხოვდა ძველის, არასასურველის საწინააღმდეგოდ პიესის ახალი ტრექტორის მოძებნას. ამით „პრესონაჟებში ვიპოვეთ ისეთ თვისებებს, რომელიც ახლოს იქნება ახალი ადამიანის ხასიათთან“²² — წერდა გარიკი.

პიესის გათანამედროვეობა ნიშნავს მისი იდეის საინტერესო კუთხით განსხვავებულ თანამედროვეობისათვის და არა პერსონაჟთა თანამედროვე ტუალეტით მორთვა-მოკაზმვას. სასებებში სამართლიანი იყო რეჟისორი, როდესაც წერდა: „კოსტუმების გამოცვლით პიესა ვერ გაიანაზღვრებდება, თუ მასში ჩვენ არ მოვუძებნეთ ის, რითაც დაინტერესებულია და რითაც ცოცხლობს ჩვენი ეპოქა, თეატრს ეპოქის სულიანკვეთების გამოხატვა მაშინ შეუძლია, როცა ჰყავს მაღალი ინტელექტისა და კულტურის რეჟისორი, მსახიობი“.

კ. გარიკი შესაძლებლად თვლიდა თეატრში რეჟისორის რეჟისორმატრობას, მაგრამ არ ამარტლებდა ზოგ რეჟისორთა რეჟისორმატროლ ექსპერიმენტებს. მაგალითად, გრძნობდა რა შექსპირის პიესების დიდ ტექნიკურ და იდეურ სრულყოფას, იგი მიუტყვებლად თვლიდა მის პიესებში რაიმეს შეცვლას, ერთი ფრაზის გადაადგილებასაც კი, შექსპირის გენიალური ნაწარმოებებით აღფრთოვანებული გარიკი აცხადებდა: „შექსპირი — მაღლა დაგას თეატრზე“; მის წარმოდგენაში ვერ თავსდებოდა: პამლეტი — ფრაკი, ოფელია — თანამედროვე მოდურ ტუალეტში, შექსპირის გმირთა დაწმინების რეჟოლუციებით შეცვლა, ანდა მარჯანიშვილისეულ „პამლეტიში“ მსახულავეთა ცახურ-იმერული ჟარგონი. მას საყვებოდა შესაძლებლად მიიჩნდა, რომ ასეთი ექსპერიმენტი არაფერს მატებდა არც შექსპირს და არც მასვეტრებს.

რეჟისორის ასევე თვლიდა, რომ გრიობეოდისა და გოგოლის სრულყოფილ სცენურ ქმნილებებს მეტე გაფრთხილებდა სჭირდებოდა. მას მხედველობაში ჰქონდა მიეგრხილდის მიერ დიდგული „რევიზორი“ და „გაი ჭკუნისაგან“.

უნდა ითქვას, რომ ვერ დაგვიანებებოდა კ. გარიკის იმის მტკიცებაში, თითქმის არ სპექტაკლებში ნაწარმოებისეულ სოციალური შინაარსი იკარგებოდა.

სპექტაკლში „რევიზორი“ მთავარ ნაკლად მას მიიჩნდა რეჟისორის უარყოფილ ყურადღება კომპონიციების, ფანტაზიისადმი. იგი მასში ვერ ხედავდა გოგოლის იუმორს, მის „ცრემლნარეგ სიყვარს“, ეჩვენებოდა რომ გარეგნულ ფეფქტს ეწირებოდა პიესის დედააზრი. იგი ვერ მიუხედა მიეგრხილდის დიდგული ჩანაფიქრს, რომელმაც არა მარტ-მ, „რევიზორი“ გასაცნობრა, არამედ გოგოლის მიეღლ შემოქმედებლად შეკრა წმინწინავლ სახე რუსეთისა, გოგოლი წარმოვიგისას როგორც რუსეთი, სპექტაკლის ლეიტმოტივად აიღო პუშკინისეული ფრაზა «Доже, как

გრუნა ნაშა რუსია» და კომედიის ნაცვლად ტრაგედია წარმოადგინა. კ. რუდინიცის წინააღმდეგ.

«Гоголь хотел «собрать в кучу все дурное в России» и смехом порозить общественные пороки. Мейерхольд, приступая к «Реватору» в 1926 году, подхватывал пушкинскую тему грести о России и переключил комедию в трагедийный план, «Скотинство в изящном облике» — это была эстетическая формула мейерхольдовского «Ревизора»²³.

რასაც ვ. გარიკი მიუტკეველად თვლიდა შექსპირის ნაწარმოებების ამგვარი, საცემი მართებულად მიანდა შილერისადმი. მიესაძღვა მას მის ნაწარმოებთა ღრმა სოციალური შინაარსს, რევოლუციური პათოსის და ტემპერამენტს, მოთხოვდა მათ გადაკეთებას, რადგან ისინი სცენურად სუსტ პიესებად მიანდა. როგორც ჩანს, გარიკი ჯერონად ვერ აფასებდა შილერის დრამატურული რესტატობას. მან რამდენჯერმე დაღვა შილერის „აქალები“ და „ყვარაგობა და სიყვარული“. 1930 წელს თარგმანა „ფიციუსი შეთქმულა გენუაში“, და ძირფესვიანი გადაკეთების შემდეგ, რაც გამოხატა მისი განადგობის გამოცდილების შეგრძობაში, დიდი წარმატებით წარმოადგინა სოხუმის ქართული თეატრის სცენაზე 1930 წლის 10 დეკემბერს. იგივე პიესა მოვიანებით განახორციელა თელავის თეატრში. ეს იყო ერთადერთი ფაქტი ფ. შილერის ამ შესახებ ნაწარმოების ქართულ სცენაზე წარმოდგენისა.

ვ. გარიკი სავანგებო ყურადღებას უთმობდა რეჟისორისა და მსახიობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს, რეჟისორის უპირველესი მისად მას მიანდა მსახიობთან მუშაობა. უნდა მსახიობში გამოუმდგავებინა ხელოვანის პოტენცია.

* * *

თეატრში რეჟისორის უახლოეს თანამშრომელ ვ. გარიკს მხატვარი მიანდა და აფასებდა იმ დიდ შრომას, რომლითაც მხატვარ-რეჟისორი ხელს უწყობს სპექტაკლის იდეის განხრას. ოცან წლებში იგი იბრძოდა ბუტყალიზმითა და თეატრალური არქიტექტურით გატაცების წინააღმდეგ. „ის, რაც სცენაზე შენდება, კედლებმა თუ იდგმებმა, ფონი უნდა იყოს მსახიობის ტემპერამენტის ცხადსაყოფად და არა პირიქით, რომ ყველაფერმა, მთელმა სცენებრმა მამინერამ ჩაყლაპოს მსახიობის შემოქმედება.“²⁵ — წერდა რეჟისორი.

მხატვრისაგან ის მოითხოვდა არ გამოჰკიდებოდა ფორმალურ ვეფექტებს სცენაზე, ყოველი ნივთი პარმიონიულად შეეწყა მიეჭრა სპექტაკლისათვის, რითაც ხელი შეეწყობოდა მსახიობს. ვ. გარიკი ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სპექტაკლების მუსიკალურ გაფორმებას:

„მუსიკალური გაფორმება სავალდებულოა ყველა პიესაში. მუსიკა არ წარმოადგენს გამართბ ოვერტებს, არამედ განუყოფელი ნაწილია მთელი მხატვრული დადგმისა, მთლიანად სპექტაკლისა. მუსიკა თითქმის აესებს ავტორის უთქმელ აზრებს.“²⁶

თეატრი მხოლოდ მაშინ არსებობს, თუ მაყურებელი ჰყავს. უპირობე მსახიობის ხელოვნება მედარია. „მსახიობი ისეთი ხელოვანია, რომელიც საჭიროებს თავისი განცდების თანამოაზრებს, ეძებს თავის მოსახსნებს, ეძებს გამონაურებას და ამ გამონაურებას პულსობს აუდიტორიაში, მასობრივ ფსიქოლოგიაში.“²⁷ — აცხადებდა ვ. გარიკი.

მსახიობი ენერჯიკია და შთაონგნებს მაყურებლიდან იკრებს. მაყურებელი არის „თეატრის სსიცოცხლო ძარღვ“.

ვი, მისი ღრძი, მისი მამობრავებელი ძალია — წერდა ვ. გარიკი. მსახიობს მუდამ ესაჭიროება მისი ხელოვნების თანამოაზრე, ის უნდა გრძნობდეს მაყურებლის გულმოდგინებას, მის თვალბს, მასში პოულობდეს პასუხს მისი შემოქმედებისა. ვ. გარიკი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ გამიარჯებდა მხოლოდ ისეთი თეატრი, რომელიც მაყურებელს მისცემდა დიდი ვნებით, პათეტური მღვლავრებით ადვილ სულს მსახიობისა.

ვ. გარიკის შეხედულებები თეატრალური ხელოვნების საკითხებზე მტკიცებულენ ამ რეჟისორის ჭეშმარიტ პოზიციანზე საჭიროა თეატრის ჩამოყალიბებისათვის ბრძოლის პერიოდში. მათში მივხრთ რამ გადასახინა, სადავო და, შეიძლება, მცდარიც კი იყოს დღისათვის, მაგრამ მისი პრაქტიკული თუ თეორიული შემოქმედება უნდა შევადგათ პერსპექტივაში და არსებითი თვისებების მიხედვით.

ასეთი მიდგომით ბევრი ღირსეული შემოქმედი დაიჭრის კუთხილ ადგილს სამამულო ისტორიის თუ კულტურის განვითარების მატანებში. მას შორის თავისი ადგილი ეკუთვნის ვ. გარიკსაც, რომლისთვისაც ჭეშმარიტი ხელოვნება მზის სხივები იყო, რომელიც ანათებდა და ათბობდა ადამიანებს, თეატრი კი — სისარულსა და ზეიმის უმრეტე წყარო.

შენიშვნები:

- 1 ვ. ვანჩაშვილი ფსევდონიმი გარიკი (თეოდორე წერდა გარიკის) აირჩია მე-18 საუკუნის ინგლისელი მსახიობის, შექსპირის გიორგის შესახებში შემსრულებლის — დევიდ გარიკის პატივისცემით.
- 2 თბ. სათეატრო მუხეუმი, ფ. 1, საქმე № 1212.
- 3 ვ. გარიკი, თეატრი, თბ., „ხელოვნება“, 1958 წ., გვ. 175.
- 4 იქვე, გვ. 190.
- 5 ვ. გარიკი, თეატრი, ტ. 1, 1929, გვ. 162.
- 6 იქვე.
- 7 სათეატრო მუხეუმი, ფ. 1, საქმე № 1212.
- 8 ვ. გარიკი, თეატრი, თბ., „ხელოვნება“, 1958 წ., გვ. 204.
- 9 სოხუმი, 1962 წ., გვ. 87-88.
- 10 თბ. სათეატრო მუხეუმი, ფ. 19, საქმე № 6 — 14810; გაზ. „კომუნისტი“, 1937 წ., 3 მაისი, № 122.
- 11 ვ. გარიკი, თეატრი, თბ., „ხელოვნება“, 1958 წ., გვ. 135.
- 12 ვ. გარიკი, თეატრი, ტ. 1, თბილისი, 1929 წ., გვ. 213-214.
- 13 ვ. გარიკი, საბჭოთა თეატრი, თბ., სათეატრო მუხეუმი, ფ. 1, საქმე № 1212; ვ. გარიკი, თეატრი და მაყურებელი, ექრნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1927 წ., № 5, გვ. 12.
- 14 ვ. გარიკი, თეატრი, თბ., „ხელოვნება“, 1958 წ., გვ. 182.
- 15 გაზ. „მუშა“, 1927 წ., 7 აპრილი, № 1312.
- 16 ვ. გარიკი, თეატრი, თბ., „ხელოვნება“, 1958 წ., გვ. 202.
- 17 Евгений Вахтангов, Материалы и статьи, Москва, 1959 წ., გვ. 33, 154.
- 18 К. Станиславский, Т. 3, Москва, «Искусство», 1955 г., стр. 105.
- 19 ვ. გარიკი, თეატრი, თბ., „ხელოვნება“, 1958 წ., გვ. 109.
- 20 კ. სტანისლავსკი, დასახელებული ტომი, გვ. 105.
- 21 ვ. გარიკი, თეატრი, თბ., „ხელოვნება“, 1958 წ., გვ. 204.
- 22 გარიკი, თეატრი, თბ., „ხელოვნება“, 1958 წ., გვ. 175.
- 23 К. Рудинский, «Ревизор» у Мейерхольда, журнал «Театр». 1967 წ., № 12, გვ. 66.
- 25 ვ. გარიკი, თეატრი, თბ., „ხელოვნება“, 1958 წ., გვ. 189.
- 26 გაზ. „სოვეტსკია აბაზია“, 1930 წ., 22 ოქტომბერი.
- 27 ვ. გარიკი, თეატრი, თბ., „ხელოვნება“, 1958 წ., გვ. 178.

კინოსცენარი „სამანიშვილის დედინაცვალი“

კარლო გოგოძე

მორიყვე სიტყვა წინასწარ

პირველი კინოდრამატურგიის შესწავლის საკითხი ერთ-ერთი მივიწყებული უნაია. მის შესახებ არ დაწერილა არა თუ სპეციალური შრომა, არამედ სერიოზული სტატიაც კი. განსაკუთრებით შეუსწავლელია ოცინაწი წლების ქართული კინოდრამატურგია, მისი თავისებურება, ხასიათი და როლი ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარების პირველ ეტაპზე. ამ საკითხების კვლევასა და მეცნიერულ გაშუქებას, უპირველეს ყოვლისა, ხელს უშლის ის, რომ ოცინაწი წლების კინოფილმების სცენარებიდან უმეტესობა მიუკვლეველია, ან დაკარგულად ითვლება. 1921-1932 წლებში შექმნილი 75-მდე ფილმის სცენარიდან ხუთი-ექვსი თუ შემორჩა სახელმწიფო და კერძო არქივებს.

გადარჩენილთა შორის (შ. დადიანის „ტარიელ მკლავადის მკვლელობის საქმე“, ალ. წუწუნავას „ვიც არის დამნაშავე“, კ. მარჯანიშვილის „ამიკი“ და სხვ.) აღმოჩნდა ქართული მუხტი კინოს ერთი თვალსაჩინო ნაწარმოებია — კოტე მარჯანიშვილისა და შაქრო ბერიშვილის კინოოქმების „სამანიშვილის დედინაცვალი“ სცენარი, რომლის ავტორებიც არიან სერგო კლდიაშვილი და ნიკოლოზ შენგელაია.

„უფას“ დაღუპვასთან ერთად დაიწყო დასავლეთგერმანული კინოფილმების „დიდი დაცემა“. „უფას“ კვალდაკვალ მოპყვა შედარებით უფრო წვრილი კომპანიების („ბავარიას“, „ვეროპას“, „უნიონის“, „შორხტი“ და „ფილმგანზას“) შთანთქმა, მხოლოდ სამი დასავლეთგერმანული ფირმა გადარჩა: „გლორია“, „კონსტანტინი“ (განცალკევებულ გიგანტად წოდებული) და „ატლასი“, რომლებმაც შეიღო ამერიკულ კინოფირმასთან ერთად „თანასწორუღებელიანობა“ განიმტკიცეს. დაისვა საკითხი: რომელი მათგანი შეძლებდა დაქაასკული და გაკოტრებული

ფირმების დაპატრონებას და მათ საფუძვლზე ახალი „უფას“, თუნდაც ახალი სახელწოდებით და ახალ ხელმძღვანელობით შექმნას. რადგან „კონსტანტინი“ დასავლეთ გერმანიის ფირმების შორის ყველაზე ძლიერად ითვლებოდა, „უფას“ მემკვიდრე სწორედ ის უნდა გამხდარიყო. მაგრამ დასავლეთ გერმანიის ახალი კინოიმპერიის უკრედას ჩანასახი გახდა არა „კონსტანტინი“, არამედ ახალი ფირმა — ბერტელსმანიის საგამომცემლო კონცერნი, ანუ „ბერტელსმანიის სახლი“, რომელსაც მანამდე არავითარი გავშირი არ ჰქონდა კინოსთან.

არსებობს კიდევ ერთი ასეთი ვითარება: ისეთი გიგანტური წარმოება, როგორიცაა ბერტელსმანიის კონცერნი, უდავოდ დაინტერესებულია იმით, რომ მის მიერ გამოშვებული ფილმების მხატვრული დონე შესამჩნევად გამოირჩეოდეს სხვებისაგან. დასავლეთ გერმანიის კინოს ცუდი სახელი ძალიან უშლის ხელს ექსპორტს. თუკი მათი ფილმები კვლავინდებურად საერთაშორისო კინოფესტივალებზე პრიზებს არ მიიღებენ, დროთა განმავლობაში ეს მდგომარეობა კომერციაზე უარყოფითად იმოქმედებს.

კადრი ფილიპან „ორდენები ვუნდერ-კინდებისათვის“.



იტალიურმა და ფრანგულმა ფილმებმა დადებითად იმოქმედა რიგითი, დეტექტიური და გასართობი ფირმების ხარისხზე. ამიტომ, მათ უფრო ყიდულობდნენ მსოფლიო ბაზარზე, ვიდრე დასავლეთგერმანული კინოწარმოების პროდუქციას. ამიტომ, როცა სამოციან წლებში „ოტერპაუზენელმა მეამბოხებმა“, რომლებიც მოკლემეტრეანი დოკუმენტურ ფილმებს იღებდნენ, მოუწოდეს ყველაღონე ესმარათ დასავლეთგერმანული კინოს ჩიხიდან გამოსაყვანად... მათი გამოსვლა მსხვილი ფირმების მეპატრონეთათვის, არც თუ ისე უსიამოვნო გამოდგა, მიუხედავად იმისა, რომ „მეამბოხებში“ სწორედ მათ „მხატვრულ პრაქტიკას“ ესხმოდნენ თავს.

„ახალი ტალღის“ ფილმები თემატურად მრავალფეროვანი იყო. მაგალითად, „როცა მელიებზე ნადირობა აკრძალულია“ — დასავლეთგერმანიის მიყრუებული პატარა ქალაქის მემზანური ყოფის კრიტიკული ასახვის ცდას წარმოადგენდა. „ახალი ტალღის“ ერთ-ერთ პირველ საუკეთესო ფილმში „გამომწვიდობე-

ბა გუშინდელთან“, რომელიც რამდენიმე საერთაშორისო კინოფესტივალზე პრემიებით აღინიშნა, ასახულია ერთ-ერთი გოგონას ცხოვრება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, რომელმაც ვერ შესძლო „კონომიური საოცრების“ ქვეყანაში მყუდროების მოძებნა.

მანც რა მოიტანა დადებითი „ახალმა ტალღამ“?

უპირველეს ყოვლისა, სინამდვილის კრიტიკული, თუმცა არათანმიმდევრული ჩვენება. ამასთან, ამ კრიტიკით არც თუ ისე იშვიათად გამოდიან შეხუდული, მაგრამ მკაფიო პოლიტიკური ტენდენციების მქონე რეჟისორები. მეორე, ეს არის მხატვრული ოსტატობის შედარებით მაღალი დონე, რომლის სიმბოლემდე დასავლეთგერმანული კინემატოგრაფია კარგა ხანია არ ასულა.

საბჭოთა, მათ შორის ქართველი მაყურებელი, გაეცნო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფილმებს: „ჩვენ ვუნდერკინდები ვართ“, „ორდენები ვუნდერკინდებისათვის“, „აგენტი უნებლიეთ“, „ვდა შევიდი დღეა“, „ბიძია თომას ქოხი“, „ლი-

ცი როზმარი“, „საუკეთესო დღეებო შპესარტიში“, „მამა მალაქის სასწრაულო“ და სხვა.

როგორც ვხედავთ, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კინოკომერციულ ხასიათს ატარებს. მაგრამ გვხვდებიან პროგრესულად მოაზროვნე რეჟისორებიც, რომლებიც რევანსისტული და რეაქციული განწყობილების საწინააღმდეგო ფილმებს ქმნიან. ასეთებს, პირველ რიგში, ეკუთვნიან რეჟისორ კურტ ჰოფმანის „ჩვენ ვუნდერკინდები ვართ“ და „მოჩვენებები შპესარტის ციხესიმაგრეში“, ვოლფგანგ შტაუდტეს „გარდები ბატონ პროკურორისთვის“ ბერნგარდ ვიკის „ხიდი“ და „მამა მალაქის სასწრაულო“.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, თუ რაოდენ მძიმე პირობებში უხდებოდა მათ მუშაობა. თვითონ დასავლეთ გერმანიის კინომრეწველობის ინოპოლიზაცია კი — სოციალურ-კრიტიკული ტენდენციების „მშუთავარე“ და „საშიში“ განვითარების წინააღმდეგ ირავნება.



კადრი ფილმიდან „ბიძია თომას ქოხი“.

კოტე ყიფიანი

უნილკოს როლში

ეთერ დავითაია

შმაპარნი „ვენეციელი ვაჭარი“ 1873 წლისთვის უკვე თარგმნილი ჰქონდა დიმიტრი ყიფიანს, რაც იმით დასტურდება, რომ იმავე წლის 16 აპრილს სოფელ ბანძაში იგა დაიდგა კიდევც. როგორ მოხდა, რომ დ. ყიფიანის ეს თარგმანი თბილისში დადგამდე შორეულ სოფელში წარადგინეს, მით უმეტეს, რომ იგი დაბეჭდილი არ იყო. თარგმნის შემდეგ, დიმიტრი ყიფიანს პიესა, ალბათ, წაუთხავს საზოგადოებისათვის. ეს ერთადერთი გზა იყო, რომლის მეშვეობითაც შეიძლებოდა ამ პიესას ბანძამდე შეღწევა. საინტერესოა, როდის წაიკითხა თარგმანი ყიფიანმა და რა მიზანი ჰქონდა ამ წაკითხვას — მხოლოდ გაეცნოდა თუ დადგამაც?

მწერალი ეკატერინე გაბაშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით იკონებს: „ქრისტეშობის დამლევით იყო, 1874 თუ 1875, ნამდვილად არ მახსოვს, ჩემთან შემოვიდა დიმიტრი ყიფიანის ასული ლოლა და მითხრა: სადამოუხედ ჩვენთან იქნება დანიშნული წარმოდგენის მოსაწყობათ. მაშაჩემი პირიანვე დადგათ შექმნილის შეუდარებელი დრამა „შვილი“, რომელსაც დღეს თვითონ წააკითხათ. ავს თქვენთვის გასაცნობათ და შემდეგ მოთამაშეთა ძალებების გამოორკვევისა, გაანაწილებს როლებს.“¹ იმავე ფაქტს 1914 წელს, კოტე ყიფიანის საიუბი-

ლეოდ გამოქვეყნებულ მოგონებაში, ეკ. გაბაშვილი ათარიღებს 1873 თუ 74 წლით.²

ჩვენს მიერ ხაზგასმული სტრიქონები მიუთითებენ, რომ იმ დღეს დიმიტრი ყიფიანმა პირველად გააცნო საზოგადოებას თავისი თარგმანი და გადაწყვეტილი ჰქონია დადგმის განხორციელებაც. ამასთან დაკავშირებით იხადება კითხვა: ე. გაბაშვილს სომ არ ეშლება თარიღი? წელი რომ უსუსტად არ ახსოვს, ამას მისივე წერილები მოწმობენ. შეუძლებელია დ. ყიფიანს თარგმანი მაშინვე არ გაეცნო საზოგადოებისათვის, სხვანაირად მისი არსებობის ფაქტი არ იქნებოდა ცნობილი და ბანძაში დადგამაც ვერ განხორციელდებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ფაქტი მოხდა 1873 წლის აპრილამდე და ვინაიდან ეკატერინე გაბაშვილი დეკემბერს ასახელებს, საფიქრებელია — ეს იყო 1872 წლის დეკემბერი.

როგორც ეკ. გაბაშვილი წერს, იმავე საღამოს, პიესის კითხვის შემდეგ, დიმიტრი ყიფიანმა გაანაწილა როლები. მას შეილოკის როლი კოტე ყიფიანისათვის შეუთავაზებია, პორციას — თავისი ქალიშვილისათვის, ნერისა კი — ეკ. გაბაშვილისათვის, მაგრამ ოჯახური მდგომარეობის გამო მას ვეღარ მიუღია მონაწილეობა სპექტაკლში. თვით სპექტაკლი კარგად მიუღია საზოგადოებას. საფიქრებელია, რომ რაკი პიესა დეკემბრის დამლევს წაიკითხეს, სპექტაკ-

¹ ეკ. გაბაშვილი, ქართული თეატრის ბუდე, ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1925 წ., № 6, გვ. 3-4.

² ეკ. გაბაშვილი, მოგონება კოტე ყიფიანზე, ჟურნალი „ქალი“, 1914 წ., № 4, გვ. 4-5.

ლი შეიძლება დადგმულიყო უკიდურეს შემთხვევაში, 1873 წლის იანვარში.

ლოგეკურად თითქმის ყოველივე სწორია, მაგრამ საოცარია, რომ ამ დადგმაზე არაფერს წერს თვით კოტე ყიფინი. იგი ივრუნებს მხოლოდ იმ სპექტაკლს, რომელიც მუდმივ თეატრში მ. ბებუთაშვილმა დადგა. რატომ არ ასყენებს ამ სპექტაკლზე? ნუთუ იგი არ არსებობდა? შეიძლება რომ ასეც გვეფიქროს, რომ არ იყოს კოტე ყიფინის სანატრესო დასტეკი, კერძოდ, 1878 წელს სერგეი მესხის მიერ გაწეული „დროებაში“ გამოქვეყნებული რეცენზია „ვენეციელი ვაჭარი“ ქართულ სცენაზე³. კოტე ყიფინის არც ამ სპექტაკლის ასყენებს, თუმცა მისი არსებობა უდავლოა, რაკი პრესაში რეცენზიაც გამოქვეყნდა. აქაც შეილოკის როლი კოტე ყიფინის შესურსლებია. ჩვენს აზრით, ამ სპექტაკლზე მუშაობის პროცესი არ იყო ყიფინისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა და ამიტომაც მხოლოდ ის სპექტაკლი გაიხსენა, სადაც შემოქმედებითად სანატრესო მუშაობა ჩატარდა.

სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ „ვენეციელი ვაჭარი“ თბილისში პირველად 1873 წლის იანვარში დაიდგა, მიეროდ — 1878 წლის 23 აპრილს და მესამედ კი — პროფესიულ დასში 1881 წელს. ამ დროს დასი საკმაოდ ძლიერი იყო. სცენის დიდოსტატების — მ. საფაროვა-აბაშიძის, ნატო გაბუნია-ცაგაროსის, ვასო აბაშიძის და კოტე ყიფინის გვერდით თავმოყრილი იყო ნიჭიერი ახალგაზრდობა; დადგმას რეჟისორიდა მიხეილ პეტრეს ძე ბებუთაშვილი. დასის საერთო ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა დრამატულ საზოგადოებას, რომელშიაც შედიოდნენ მოწინავე ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

დრამატული საზოგადოება განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა რეპერტუარის საკითხს, რათა დადგმული პიესები იდეური თვალსაზრისით გამართული ყოფილიყო.

თეატრის რეპერტუარის შერჩევაში აქტიურად ჩაება დამ. ყიფინიც, რომელიც ხშირად თარგმნიდა პიესებს და დადგმებზე მონაწილეობდა. დიმიტრი ყიფინი ყოველ ნაწარმოებში ეძებდა საერთო საკაცობრიო საკითხებს, რადგან იმ დროისათვის აუცილებელი იყო ხალხში პატრიოტულ სიძლიერის გაღვივება, სოციალური უკუღმართობის მოსპობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სურვილის აღძვრა. თუ ამ საკითხებზე ქართული პიესები არ მოიპოვებოდა, დრამატული საზოგადოება მსოფლიო კლასიკურ დრამატურგიაში ეძებდა საჭირო ქმნილებებს და თეატრის მხოლოდ გასართობ დაწესებულებად არ ხივდა. სწორედ ამით დაინტერესა მთარგმნელი მექსპირის ამ ნაწარმოებმა. დ. ყიფინმა „ვენეციელი ვაჭარი“, მხოლოდ მუნჯი ვაჭარის პირადი დრამა კი არ ამოიკითხა, არამედ დაიხანა სოციალური და კლასობრივი ბრძოლა — ერის დაბეჩვება, ძლიერთაგან სუსტის გათავლვა, ცხოვრების ძველი კანონების რღვევა, ჭეშმარიტობა. ამ პიესის საშუალებით შესაძლებელი იყო ქართველი საზოგადოებისათვის ეჩვენებინათ მწარაზმული რუსეთის შოვინისტური პოლიტიკა, ამა ქვეყნის ძლიერთაგან სუსტის დამაჯვრა და საზოგადოებაში გამოვლენილი მიძინებული პატრიოტული და ჭეშმარიტი განზობიერი. ამ საკითხის წამოწვევამ მთარგმნელი სათაურის შეცვლამდე მიიყვანა. მან მექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“

„შველოსა“ უწოდა, რადგანაც, მისი თვალსაზრისით, ვაჭრული ინტერესები კი არ იყო მთავარი, არამედ პიროვნების ბრძოლა ჩაგვირის წინააღმდეგ.

როგორც კი გადაწყდა „ვენეციელი ვაჭრის“ დადგმა, რეჟისორმა მიხ. ბებუთაშვილმა პიესა დასშიც კი ყიფინის უწყაიხოსა და შემდეგ მასხიობებს დააგვო შინაც გულდამსუთ გასცნობოდნენ მას. მეორე დღეს თითოეული მათგანს მასხოვრა პიესის შინაარსის დაწერა; ასეთი მოთხოვნა მასხოვრებისათვის შეტად უჩვეულო იყო და ვერაფერი მოახერხეს. ცხადია, ბებუთაშვილს სურდა გავგო, თუ რა ამოკითხვა ამ როლულ ნაწარმოებში თითოეულმა მათგანმა, რომელ მოვლენაზე გამამხილა ყურადღება, რა შეიცნო მთავარ მომენტად, რომელ სცენას, თუ დიალოგს მისცა უპირატესობა. ამით რეჟისორი გაიგებდა ემხოვრება თუ არა მასხოვრების მსატრულო აღქმა მისას. მასხოვრები დაჩვეულო არ იყვნენ ნაწარმოების აშკარა განალორხებას და კოტე ყიფინის, ბაბო ხერხეულიძისა და ვასო მანაშაძის ვარდა, ვერც ერთმა ვერ შესარულა რეჟისორის ნაკლები. ბებუთაშვილს სურდა ქართული მასხოვრების რეჟისორის ჩანაფიქრის უნარული აღმსრულებლის ნაცვლად, მოახრუნე შემოქმედის დონემდე აემალოდინა. მან მასხოვრებს გააგებინა, რომ სპექტაკლის დადგმისათვის მთავარია პიესის იეის სწორი ამოკითხვა. რომ თითოეული პერსონაჟის სიტყვა და მოქმედება მთავარი აზრის სწორად გასხნით განპირობებულიყო. ამის შემდეგ ბებუთაშვილმა მასხოვრების გააცნო თავისი ჩანაფიქრი. იმ დროს სპექტაკლზე მეტად უჩვეულო მუშაობა მიმდინარეობდა. საყნადასმი ასეთი სურთხოვლი მიდგომით დასი ერთი თვის რეპეტიციების შემდეგ (1881 წ.) წარსდაგა მაყურებელთა წინაშე.

კოტე ყიფინი, რომელიც სპექტაკლში შეილოკის როლს ასრულებდა, დადაც გამყოფილი იყო რეჟისორის მუშაობით: „მამინ ვიგრძენი, რომ რეჟისორი სწორედ ამისთანა უნდა ყფილიყო, რომ თავის მოხოვნილებით შეასწავლოს მასხოვრის მოხოვრების შინაარსი, შეათვისებინოს ავტორის აზრი და შეაგნებინოს მოქმედ პირთა ურთიერთ-ვაჭირი და დამოკიდებულება. არტისტები შეეჩვივნენ ამისთანა შესწავლას და ყველას თავ-თავისი რეველი მოქონდა და შიგ სწერდნენ თავითან აზრს პიესის შესახებ“⁴. ასეთი მუშაობა იმ დროის თეატრში შეიძლება ჩაითვალოს ქართული რეჟისურის განვითარების გარკვეულ ეტაპად.

მექსპირის შეილოკში დამდგმელმა მიხ. ბებუთაშვილმა და შემსრულებელმა კოტე ყიფინამ, ამოიკითხეს ტუნჯის მსოფლიო მნიშვნელობის ხასიათი. შეილოკის სანაყარო მხოლოდ უფროს ავადმყოფური სიყვარულით არ განიხსილვერება, იგი ეული შორის იხებება; მასში თავმოყრილია მრავალი დამამასიათებელი თვისება და, რაც მთავარია, იგი თავისი ერის დაგვირავებაც გვევლენება. შეილოკი არა მხოლოდ ფულის დაგვირავებისათვის იბრძვის და მათ დამკანკალებს, არამედ განრისხებით ცდილობს შური იძიოს თავისი ერის მწავრულებზე. და ეს იყო მთავარი.

სპექტაკლში ხაზი გაესვა აგრეთვე იმ მომენტსაც, რომ ცხოვრება გაასწრო დაწერილი კანონები და ვენეციის სახელმწიფოს ძველისძველი კანონები ცხოვრების ახალ, დაუწერელ კანონებთან შედარებით, მოძველებულია და ძალა

³ სერგეი მესხი თეატრის შესახებ, გვ. 115-119.

⁴ კოტე ყიფინი, ჩემი არტისტიული თავადასახალი, „ფასკენკორ“, № 13, გვ. 12.

ალარა აქეს.⁵ ახალმა ცხოვრებამ დაამარცხა ძველი კანონი, რომელსაც ეყრდნობოდა შეილოკი. რევისორი შეეცადა სპექტაკლში ნათლად ჩვენებინა მეგობრობისა და ერთიანობის ძალა, მოწინავე იდეების როლი ახალი ცხოვრების შექმნაში, რომელსაც მოაქვს საკუთარი კანონები და საზოგადოებრივი წყობა. სპექტაკლში ამ იდეების მატარებელი უნდა ყოფილიყვნენ ანტიონი, ბასანიო და პორციკა.

მიუხედავად პიესის ასეთი სერიოზული და ღრმა განხილვისა, სპექტაკლი მთლიანად თანაბარი სიძლიერით არ ეფერდა. ამის მიზეზი სწორედ იდგის გამხსნელი დადებითი გმირების სუსტი შემსრულებლები იყვნენ.

„უმთავრესი მოქმედი პირი დრამაში ურია შეელოხაა, რომლის როლი კ. ყიფიანმა ჩინებულად წარმოადგინა, მაგრამ დრამის თამაშობის დასავივრევივლად და მერე, საზოგადოდ შექსპირის დრამებისა, არა კმარა ერთი როლის კარგად შესრულება. ამ გვარს რთულ დრამას როგორც „შეელოხაა“ ერთი კაცი, რაც უნდა დახელოვნებული არტისტი იყოს, ვერას გაახერხებს. საჭიროა უმთავრეს მოქმედს პირს გვერდით ჰყავდეს ისეთი მოთამაშენი, რომელნიც მცირედ მაინც მხარს აძლევენ, უღელს უწვედნენ უმთავრეს როლის ასრულებაში.

„შეელოხაში“ კი, კ. ყიფიანს ზოგი მოთამაშენი ხელს უშლიდნენ სწორედ. საიდან მოიგონა თუბალის როლის შემსრულებელმა, მაგალითად, რომ ვენეციაშიც იყო უქცევენ ებრაელები ლაპარაკის კილოს, როგორც ჩვენში? თუბალის მაგივრად ქუთაისელი ყობო ურია გაჩნდა; საიდან სადაო? კარგი იყო ლანსლო (აწყურელი) და ბასანიოსაც არა უშავდა რა...“⁶

ხოლო როდესაც ეს როლები სათანადო შემსრულებლებმა წარმოადგინეს, სპექტაკლი მნიშვნელოვნად აეფერდა. „4 ნოემბრის წარმოდგენა 28 ოქტომბრის წარმოდგენასთან ერთად საუკეთესო საღამომებში ჩაითვლება ჩვენს თეატრში. სრულის ყურადღებით და ინტერესით მოისმინა საზოგადოებამ პიესა. ანსამბლი არაჩვეულებრივი იყო.“⁷

სპექტაკლში ისე მკვეთრად იყო წარმოდგენილი შეილოკის ბრძოლა თავისი ერის ინტერესებისათვის, რომ მაყურებელი სერიოზულად ჩააფიქრა, ეროვნული და სოციალური ჩაგვრის საკითხმა, რომელსაც ქართველობა იმ დროს თვითონვე განიცდიდა. კოტე ყიფიანის მიერ განსახიერებული შეილოკი ქართველ მსახიობთა ოქროს ფონდში შევიდა, როგორც მაღალმასტერული და იდეურად ღრმად განსახიერებული. „შეელოხა-ყიფიანი ძლიერ მოეწონა საზოგადოებას, ღირის მერე, ეს მერევე როლია, რომელსაც ასე საუკეთესოდ თამაშობს ნიჭიერი არტისტი.“⁸

კოტე ყიფიანმა თავისი გმირის სახეში ჩააქოსავა ებრაელ ხალხის ეროვნული უბედურება. აქედან გამომდინარე შეუბრალებელი შურისძიების გრძნობაში მსახიობს დიდებულად ჰქონდა ჩაქოსოვილი შეილოკის ხასიათის მნიშვნელოვანი მომენტი — სიძუნწე, რომელიც გარკვეულ მომენტში უსასწერო ხელგამალობაშიც კი გადადიოდა. ყიფიან-



კოტე ყიფიანი შეილოკის როლში (ვენეციელი ვაჟი“).

ნის შეილოკი იყო ტრაგიკული გმირი, რომელიც ძველ კანონებს ჩაბლაუჭებული, მარტოდმარტო იბრძვის საკუთარი და თავისი ხალხის ინტერესების დასაცავად. იგი ამ ბრძოლის მოგებისათვის არაფერს იშურებს, ფულსაც კი, რომელიც მას შეილზე მეტად უყვარს, მაგრამ მაინც მარცხდება და ამაშია შეილოკის ტრაგედია, როგორც თავის დროის ჩამორჩენილი მებრძოლისა. კოტე ყიფიანისათვის შეილოკის ტრაგედია სწორედ აქედან გამომდინარეობდა და არა პირადული, ვიწრო ჩარჩოში მოწყვედილი სიძუნწისაგან. ყიფიანს შეილოკი წარმოსახული ჰყავდა ნამდვილ ტრაგიკულ გმირად და ამიტომაც სახის გახსნაში მისთვის მთავარი იყო ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ ბრძოლაში დამარცხებით გამოწვეული ტრაგედია. მსახიობს ესმოდა, რომ ტუნწისათვის ფულის დაკარგვით გამოწვეუ-

⁵ ეჭრ. „კავალი“ (1901 წ., № 44, გვ. 927) აღნიშნავდა: „...ეს კლასიკური ნაწარმოები მეტად საინტერესო არის. ერთი მხრით, ჩვენ ამ ნათლად ვხედავთ, თუ როგორ აუქმებს ცხოვრება მომენტულ კენონს...“

⁶ ვახუთი „დროება“, 1884 წ., № 237, გვ. 1-2.

⁷ ეჭრალი „კავალი“, 1901 წ., № 49, გვ. 104-105.

⁸ იქვე.

(დასასრული მე-80 გვერდზე)




შესხეთის თეატრის მთავარი რეჟისორი ნანა დემეტრაძევილი.

**საქართველოს
კომუნისტური
პარტიის ლაურეატ
მესხეთის თეატრის
საექსპლუატი**



სცენა საექსპლუატიდან „თედორე“.

სენა სპეტაკილიდან „მზიანი ღამე“.



ნა სპეტაკილიდან „ბაგმანი ცაში“.



ლი პირადი უმედურება არ შეიძლება განისაზღვროს როგორც ტრაგედია, ეს უფრო პირადული დრამა იქნებოდა, რაც გააუბრალობდა შექსპირის ქმნილების დიდ ჩანაფიქრს. სახის გახსნისადმი ანეთი დრამა მიდგომის გამო, კოტე ყიფიანის შეილოკი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ერთდროულ თვატრის ისტორიისა და ქართველი მსახიობების მიერ შექმნილ შექსპირის გმირთა გალერეაში.

კოტე ყიფიანის მიერ შეილოკის შესრულების ქარგა შეედგენაირად წარმოგვიდგება: ყიფიანი-შეილოკთან ფულის სასესხებლად მოსულან ბასანიო და ანტონიო. მათთან დიალოგში ყიფიანი ამტკიცებდა იმ დიდ სიხარულს, რომელსაც შეილოკის არსებაში იწყევდა ამ ბატონკაცების ახლანდელი მდგომარეობა. ყიფიანი-შეილოკი მის ხელში ჩაყარდნით ამ ბატონკაცებს კლანჭებს უჭერდა, მიაგონებდა ყველა იმ შეურაცსყოფელს, რომელიც მათგან აუტანია:

„თქვენ მე ურჯულოს მიწოდებდით, ქოფაკსა ძალლსა და ჩემს ებრაულ ხიფთანხვრელად კი მაფურობებდით“.⁹ —

ამბობდა ყიფიანი-შეილოკი და ამაში იყო ის მთავარი, რასაც შეილოკის სახის გახსნისას განსაულებად იყენებდა მსახიობი. იგი თავის გმირში ხაზს უსვამდა ეროვნული უთანასწორობისაგან დაწარგული ადამიანის შურისძიებას, რაც ზემოთ აღნიშნულ მონოლოგში შეედგენაირად ვითარდებოდა:

„თქვენ, ვინც წვერებში მაფურობებდით, ვინც წიხლსა მკრავლით, თითქოს და ძაღლი გამოგედგოთ თქვენის ეწოდანო, თქვენ მე ფულსა მიხობოთ, რა პასუხი მოგცეთ ამაზე? არ გიბოხრო: „ძაღლსა სადა აქვს ფული? ვით შეუძლიან ქოფაკს გახსნოთ თქვენ დუკატი სამი თანისი?“. —

უარით უნდოდა გაემწარებინა ისინი, ვინც მას შეურაცსყოფდა, მაგრამ თითქოს ერთბაშად მიხვდაო, რომ ამ ფულის სესხებით შეუძლია შური იძიოს და ეშმაკურად ეუბნებოდა:

„სადაღობოდ კი ჩვენ ასეთი ჭრიმა დავტოვათ: თუ არა გადახდით ამ და ამ დღეს, ამ და ამ ადგილს ამოდენ ფულსა ანუ თანხას, — როგორც წესია, — მაშინ მე თითოს გირვანჯა ხორცს თქვენი სხეულის რომდე ბრწყინვალე ნაწილსაც მსურს, იმას მოვაკრა“.

ყიფიანის შეილოკისათვის სწორედ ეს იყო მთავარი, რადგან ამითი შექმნილ ყველაფერისათვის ეძია შური, და როდესაც გაკოტრებული ანტონიო ვალს ვერ იხდიდა, ყიფიანი-შეილოკი კმაყოფილებით აღსასვლ ბრძოლას უცხადებდა მის თვალში უკვე დაძლეული მტერს: „...თუ სხვას ვერაფერს დაანაყრებს, შური სძიებებს სომ მანინც გამიძლებს. მუდამ

მლანძღვდა, ვაჭრობაში ნახვეარ მილიონჯერ მანც ხელი შეუშლია. წაგებები — იცინოდა, მოვიგებდი — დამციხიდა, ჩემი რჯული ეხიზღებოდა, საეაჭრო გეგმებს მიწევდა. შეგობრებს ჩემზე გულს უცვივებდა, მტერს აღაგზნებდა. მეერ რატომ? იმიტომ, რომ მერაელი ვარ“.

და შემდეგ: „...თუ შეურაცსყავით, ნუთო არ უნდა იძიოთ შური?!... რა თქმა უნდა, შურისძიება! თქვენ ბოროტებს მასწავლით, მე კი ავასრულებ და თუ თქვენ დარინებულს უკეთ არ შეგასრულე, ცუდად იქნება ჩემი საქმე“.

კოტე ყიფიანი ხაზგასმით აჩვენებდა, რომ შეილოკის მთავარი მამოძრავებელია შურისძიება, ამიტომაც ზემოთ მოყვანილ მონოლოგში, ჩვენს მიერ ხაზგასმულ ფრაზებზე აკეთებდა განსაკუთრებულ აქცენტსაც. მონოლოგის შემდეგ მონაკვეთში ყიფიანი-შეილოკი პროტესტს უცხადებდა მწავრველებს და ცდილობდა დაენახებინა, რომ მათ არავითარი პრივილეგია არა აქვთ ამგვარი ჩაგვისისა. აქვე იყო მისი სასტიკი შეტყაობა ყველა იმ ჩაგვისის საზღაურად, რასაც იგი მუდამ თავმდაბლად იტანდა.

ეს მონოლოგი მსახიობის შესრულებაში ყოფილა კულმინაციური წერტილი და სპექტაკლის იდეური ჩანაფიქრის გასაღებიც.

ბატონებთან შურისძიებისათვის შემართული შეილოკის მარცხი ერთგვარად საკუთარი შეილის ღალატმაც განაპირობა. ამასთან ყიფიანი-შეილოკი თავისი ბუნებით ნამდვილი ვაჭარია და ფული მისთვის ყველაფერია. ყიფიანის შეილოკისათვის ფული მხოლოდ მაშინ კარგავს ფასს, როდესაც მისი დაყარგვა მორალურ გამარჯვებას მოუტანს. ქრისტიანების წინააღმდეგ მებრძოლი შეილოკის ქალი-შეილი ხომ ქრისტიანს წაჰკავა და თან წაიღო მამის სიმდიდრის დიდი ნაწილი. ეს ფაქტი შეილოკისთვის დიდი უმედურება იყო, ერთი მხრივ, როგორც სარწმუნოებისადმი ღალატი, რომლის დაცვისათვის იგი მზად არის ფულზედაც ეს უარი თქვას, და, მეორე მხრივ, მას თავგზას უკარგავდა ისიც, რომ მისმა შეილმა დიდძალი ქონება წაიღო და თავისი ერისა და მამის მტერს ჩაუგდო ხელში. გრძნობათა ეს ჭიდილი თურმე აშკარად იგრძნობოდა ყიფიანის თამაშში.

ყიფიანის შეილოკის იმის გახსნაში ჩაუჭვებია თავისი მიქალაქობრივი მიდგომა პიესაში აღწერილი მოვლენისადმი, მისთვის ამ სახეში მთავარი იყო ეროვნული ჩაგვისის საკითხი. ყიფიანი, როგორც ანტირეალური, პატარა ერის წარმომადგენელი, შეილოკის სახეში პირად პროტესტს ავლენდა ცარიზმის მიმართ და უთუოდ ამიტომაც იყო ასე მახვილი მის მიერ შექმნილი იერსახე. ყიფიანის მსახიობურმა ნიჭმა და მოქალაქეობრიობამ ისე მკვეთრად ჩამოტრწა შეილოკის სახე, რომ სპექტაკლის იდეური ხაზი სწორედ ამ მხრივ წარიმართა. დანარჩენი როლების შესრულებებმა თავიანთ გმირებს ვერ მისცეს ასეთი ძლიერი იდეური დატვირთვა და ამიტომაც გაფრმავრთაღდა დრამაში დასმული მნიშვნელოვანი საკითხები; ახლის განმარჯვება ვერად აღიქმებოდა, როგორც პროგრესული მოვლენა. ნაცვლებდ იმისა, რომ შეილოკის მარცხი ცხოვრების ახალი კანონების გამარჯვების ზემოთ ყოფილიყო, იგი სპექტაკლში აღიქმებოდა, როგორც რასობრივი უთანასწორობის საშინელი შედეგი.

⁹ დიმი. ყიფიანის თარგმანის სრული ტექსტი არ არსებობს, არის მხოლოდ ბოლო მოქმედება, ამიტომ ჩვენ ვსარგებლობთ ვ. კელიძის თარგმანით. თბ., 1951 წ., გვ. 151-272.

საუბარი მიხეილ კალატოზოვიან

ამბს წინათ კინომცოდნე ნათია ამირეჯიანი მოსკოვში ეწვია ცნობილ საბჭოთა კინორეჟისორს მიხეილ კალატოზოვს და ესაუბრა მას. ვებეჭდეთ ამ დიალოგს.

— კინეწი მოსვლამდე, — იგონებს თავის ჭაბუკობას მ. კალატოზოვი, — პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვსწავლობდი. ჯერ კიდევ არ მქონდა გარკვეული ჩემი მომავალი პროფესია. გატაცებული ვიყავი ფილოსოფიით, მიყვარდა სატეა. იმ დროს ახალგაზრდებს სატეის შესასწავლად გერმანიაში აგზავნიდნენ. მეც მსურდა გერმანიაში გამგზავრება, მაგრამ... მანქანურებსა და ავტომობილი და მძღლობას დავეუფლე, კინოც მიტაცება — კინომექანიკოსად ვმუშაობდი.

იმ დროს (იგულისხმება 1923-1924 წწ. — ნ. ა.) სახკინმრეწვთან სამსახიობო სტუდია არსებობდა, რომელსაც ივ. ანუესტიანი ედგა სათავეში. გადაგწყვიტე მსახიობობა. ივ. პერესტიანმა „როლები“ მაშინვე მომცა ფილმებში — „სამი სიცოცხლე“ (გემანზე გამას დედასთან ერთად ცვეკვადი), „ტარიელ მკლავების მკვლელობის საქმე“ (ტარიელის ამხანაგის ეპიზოდური როლი შევასრულე).

შემდეგ ოპერატორობამ გამიტაცა. ალ. წუწუნავამ ოპერატორის ასისტენტად ამიყვანა, მაშინ იგი იღებდა ფილმს „კინ არის დამნაშავე“.¹

პირველი ჩემი დამოუკიდებელი ოპერატიული ნამუშევარი „ზაპისის“² გახსნა იყო.

ამვე ხანებში გადავიღე ორნაწილიანი დოკუმენტური ფილმი „ცხენები“; აგრეთვე „ავღანელი ხანის ჩამოსვლა თბილისში“. 1925 წლის ზაფხულში თბილისის საგასტროლოლ ეწვია „მხატვი“. ამ თეატრს ყველგან დავყვებოდი აპარატივით ხელში, გადაღებული მყავს კ. სტანისლავსკი. მეტეჯ სად არის ეს ფირები?³

— „ზაპისის“ ფირი საქართველოს კინო-ფონო-ფოტოარქივში ინახება. ამავე არქივშია თქვენი ფილმის — „მართალი სამეფო“⁴ — მხოლოდ ერთი ნაწილი, დანარჩენი ნაწილი, როგორც ჩანს, დაკარგულია. მაშინდელი პრესის მეფასებით, იგი მეტად საინტერესო უნდა ყოფილიყო.

ჟურნალების „მემარცხენეობა“ და „ნოვი ლეფის“ ფურცლებზე ფილმის რამდენიმე კადრია აღბეჭდილი, — ჩაუვრთე მე.

— გული მწყდება, რომ ფილმი მთლიანად არ შენახულა... მისი შექმნის ისტორია ასეთი იყო: მტკვრის პირას, სრულიად შემთხვევით, მიწაში ჩაფლულ ფირს წააწყდი. იგი აღმოჩნდა მენშევიკების დროს გადაღებული კინოქრონიკა (მაკდონალდის ჩამოსვლა საქართველოში, მენშევიკური მთავრობის დახვედრა და სხვ.). ფილმში „მათი სამეფო“ სწორედ ეს ნაწილი ფირი გამოვიყენეთ მე და ნუცა ლოლობერიძემ და მენშევიკურ საქართველოს საბჭოთა საქართველო დავუპირისპირეთ. ძველი კინოქრონიკიდან სამი ნაწილი ავიღეთ, სოლო დანარჩენი ოთხი ნაწილი, რომელიც თანამედროვე საბჭოთა სინამდვილეს ასახავდა, მე გადავიღე. მაშინ ძალიან გატაცებული ვიყავი ობიექტის უჩვეულო წერტილებიდან გადაღებით, ჩემი აპარატივ სულ თავდაყირა ვიდგე, სად არ ვჭვრებოდი, რომ კადრის საინტერესო კომპოზიციისათვის მიმეგონა.

— 1928 წელს ჟურნალ „მემარცხენეობის“ მეორე ნომერში დაიბეჭდა თქვენი სტატია „კინომასალის ჩვენების მეთოდები“. იმ დროისათვის ეს, შესაძლოა, ოპერატიული ხელოვნების ერთადერთი თეორიული გააზრება იყო. ჟურნალი ავეისტროშია გამოსული. ალბათ, სტატია ფილმის („მათი სამეფო“) გადაღების პროცესში ის ცოტად მოგვიანებით დაიწერა. ამ სტატიამ უკვე სრულიად ნათლადაა

3 „მხატვის“ გასტროლების გადაღებზე მასალა გამოქვეყნდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1971 წ. № 5-ში. წიგლის ავტორმა ვ. ვენიამ თეატრალური მუზეუმის არქივში მოაკვია ვლ. ნემიროვიჩ-დანიელის მიერ ა. წუწუნავასადმი მიწერილ წერილს, სადაც იგი დიდ მადლობას უხდის ა. წუწუნავას „მხატვის“ თეატრის გასტროლების ფირზე აღბეჭდვის ორგანიზაციისათვის. ფირის ავტორის ვინაობა დღემდე გაურკვეველი იყო. არც მ. კალატოზოვმა იცოდა, რომ მის მიერ გადაღებული ფირი „მხატვის“ მუზეუმში ინახება.

4 „მათი სამეფო“ (18-28), რეჟ. მ. კალატოზოვი და ნ. ლოლობერიძე.

1 „კინ არის დამნაშავე“ — სცენარის ავტორი და რეჟისორი ა. წუწუნავა, ოპერატორი ს. ზაოზლავი, 1925 წ.

2 მ. კალატოზოვი გულისხმობს „ზაპისის“ პირველი ტურნინის ამუშავებას 1924 წელს.

5. „საბჭოთა ხელოვნება“ № 4, 1972.

გამოთქმული თქვენი თეორიული კრედი, რომელიც ძირითადად თქვენს დღევანდელ შემოქმედებასაც პასუხობს.

— მასსოვს.

— ლენინგრადში გამოსაცემად ამზადებენ „კინოს თეორიის ქრესტომათიას“. იქ შევა თქვენი სტატიაც. ამრიგად, კინომეცნიერის, მსახიობის, ოპერატორის, სცენარისტისა და რეჟისორის პროფესიის გარდა, თქვენ კიდევ კინოთეორეტიკოსის პროფესიაც მოგეძგება. ეს სტატია მე დაგეგმე ქრესტომათიისათვის. მასში სინტაქსის ნორმების დარღვევის მიუხედავად, რაც „მემარცხენეებისათვის“ ერთხელ დამასხაიათებელი იყო, ყველაფერი ნათელია. თუმცა მთლიან გასაგებ არ არის გამოქვეყნებული თქვენ და ინტროინდელი „მემარცხენე“ კინომოღაწეების ხშირად ხმარობით, კერძოდ, „კონსტრუქციული“, „კონსტრუქტივიზმი“. ეს სიტყვები უკავშირდება კადრის გამომსახველობით მხარვს. ოცინა წლების საბჭოთა კინოლიტერატურაში ამგვარ გამოთქმას არასად შევხვედრივარ. სახეთ ხელოვნებაში არსებული „კონსტრუქტივიზმი“ მიმართულულებს კი იგი ვერ უკავშირდება. აბოთა, კადრის კომპოზიციის გულისხმობით?

— რასაკვირვლია. „მემარცხენეებს“ სიტყვა კომპოზიცია ძველბურთ გამოთქმად მივაჩინდა, ჩვენი კი ყოველგვარი ძველის მორჩინალები ვიყავით, ამიტომაც „კომპოზიციის“ მაგივრად „კონსტრუქტივიზმს“ ვხმარობდით. საერთოდ, ჩვენი ახალგაზრდობა მეტად შეფითიანი და წინააღმდეგობებით სასუბ იყო.

— ეს თქვენი ინდროინდელი შემოქმედებებიდან ჩანს. სიტყვა „კომპოზიციის“ უკუგადეთ, როგორც ძველბურთი, მაგრამ ტრადიციული ლიტერატურის ნიმუში, შ. არავგისპირიელის მოთხრობა „გიული“ კი აირჩიეთ ევრანისაციისათვის.

— ამ ფილმის გადაღების ამზადვაც მოვიყვებით. მე და კოლია შენგელაიამ გადაწყვეტიტუ სცენარის დაწერა თავისუფალ თემაზე. მასში უნდა გაგვეთვალისწინებინა „მემარცხენეების“ კრედო. სცენარის დასაწყლად ქალაქგარეთ, ბუნების წიაღში, მივიდიოდით. ერთხელ კოლიამ გაუმოიხცადა, რომ შიო არავგისპირიელის მოთხრობის მიხედვით სცენარის გაკეთებას აპირებო. მოთხრობისგან სხატად დარჩენი. როცა შევეციხეთ ასეთი უცდარი გადაწყვეტილების მიხეზს, გულახდილად მიპასუხა, რომ ნატო ვინჩაძე შეუყვარდა და გიულის როლი მისთვის შეარჩია. ამ, როგორც მისმა უახლოესმა მეგობარმა, წინააღმდეგობა ვერ გაუწუწი, დავთანხმდი და სცენარიც დაწერეთ.⁵ ხოლო შემდეგ ოპერატორადაც ვიმუშავე. ფილმი სუსტი გამოვიდა.

— მაგრამ სცენარი კარგია. იგი ცრუმორწმუნეობრივი შესლუფების წინააღმდეგაა მიმართული და ფილმი კი რატომღაც წინ წამოწეულია ამბოიანის თავისუფლებისათვის. ეს აქცენტბი მიყურდა და მხოლოდ შეურაცხყოფილი ქმრის შურისძიების ამზავია მოთხრობილი.

— საიდან იცით სცენარი?

— ნიკოლოზ შენგელაიას პირად არქივშია დაცული.

— მე სრულიად აღარა მაქვს არქივი. ომის დროს ლენინგრადში მთელი ბიბლიოთეკა და არქივი დამღებულა. იქ ჩემი სცენარებიც იყო, აგრეთვე იმ ფილმებისაც, რომლებს ოპერატორი მე ვიყავი. მაკალითად, ს. ტრეტიაკოვის სცენარი „ორთქლმაგალი დ-1000“, ძალიან საინტერესო იყო. მას ლ. კულუშოვი იღბდა 1927 წელს, მე ოპერატორად ვემუშაობდი.

მასსოვს, ბათუმი მასლოვლად ვიმყოფებოდი. ვერად, ნავთის ცისტერნებს ცეცხლი მოეღ. მე აპარატით ხელში უმაღ ცეცხლისკენ გავეშურე. ცისტერნებში რეაქტივობით ვფიქრობდი. საინტერესო კადრების გადაღების სურვილით შეპყრობილი თავს არ ვზოგავდი და უახლოეს გადასაღებ წერტილებს ვარჩევდი. რეიზივის მცველი მინისხოვდა და სასტიკად ამიკრიძლა აფეთქებული ცისტერნების გადაღება. მე ვიხივე, ნება დავითო და ადვერთქი, რომ გადაღებულ ფირს მთლიანად მას ჩაგაბრუნებო. იგი არ მომეშვა, უხეშად შემომიტარა. მოთმინებლად გამოსლდა წიბოლი მოვიგერიე, რადგან ხელები აპარატით მქონდა დაცვებული.

ჩხუბის შემდეგ მე და ლ. კულუშოვი დაგვაპატიმრეს. იგი მთელი განათავისუფლებს, მე კი — ერთი თვის შემდეგ. ფილმის დამთავრება ვერ მოხერხდა; დასაანია, რადგან, როგორც მასსოვს, სცენარი ძალიან კარგი იყო. მასში ს. ტრეტიაკოვმა გამოსცა ისტორია რევოლუციური მატარებლითა, რომელიც მთელ რიგ ქალაქებში რევოლუციური ბრძოლის სხვადასხვა ეტაპს გადიოდა.

— ტრეტიაკოვის ქალიშვილის, ქალბატონ ტატიანას გამომცემით, ფილმის სცენარი დღემდე ვერ უპოვია.

— ტრეტიაკოვი რუსეთში „მემარცხენეების“ ფაქტური ბელადი იყო და ჩვენ შორის დიდი ავტორიტეტი სარგებლობდა. მისი პიესა „ილირიალ, ჩინეთში“ ვ. მიერხოლდის თეატრში იდგმებოდა.

— როგორც მისი პირად არქივის გაცნობის შედეგად აღმოჩნდა, „ილირიალ, ჩინეთში“ დადგმულა აგრეთვე ასტრალიაში, ავსტრალიაში, იაპონიაში, ევროპაში. 1930 წელს რეჟისორ ბიბერმანს იგი ამერიკაშიც დაუღამას.

— ტრეტიაკოვი მეგობრობდა მაიაკოვსკისთან, ეიუნშეინთან, მიერხოლდთან, ბრეჰტთან.

— ეტყვიან, მას ნიჭიერი ხალხის აღმოჩენა შეეძლო. იგი საქართველოში დაუმეგობრდა ჯერ კიდევ გამოუცდელ მაგრამ მომავლის მქონე ჭაბუკებს: თქვენ, შენგელაიას, ჭიპურელს.

— იგი ჩვენი სცენარების თანავტორი იყო.

— რაში გამოიხატებოდა მისი თანავტორობა? „ხაზარდას“ სცენარის გარდა, რომელიც მასთან დაუწერია მ. ჭიპურელს, არ არსებობს სცენარი, რომელსაც ს. ტრეტიაკოვის ავტორობა იყის მითითებული. (გველისხმობ სცენარებს და არა ფილმის ტიტრებს — 5. ა.)

ნიკოლოზ შენგელაიას პირად არქივში „ელისოს“ ლიბრეტო და სცენარის რამდენიმე ვარიანტი ინახება. ლიბრეტო ხელნაწერის სახითაა შემონახული.

არქივში ინახება აგრეთვე სცენარის სამი ვარიანტი ნიკოლოზ შენგელაიას ხელმოწერით.⁶ ეტყვიან, შენგელაიან ამ ვარიანტების მიხედვით დაიწყო ფილმის გადაღება. გახუთ „კომუნისტის“ 1927 წლის ოქტომბრის ერთ-ერთ ნომერში არის ცნობა შენგელაიას ჩემწერში ყოფინა და „ელისოს“ გადაღების მთავარებაზე. მაგრამ, როგორც ჩანს, „სახინზრეუვის“ დირექციამ გადაღებულ მასალა დაიწერა და სცენარის ხელახლა დამუშავებისათვის მოიწვია იმ დროს ზოპულოვოვი კინოდრამატურგი ბ. ლეონილოვი. დაახლოებით 1927 წლის დეკემბერში „ელისოს“ სცენარის ახალი ვარიანტი უკვე მზად იყო. ამგვარად, ავტორების სახით მითითებული არიან: სცენარის ავტორი — ბ. ლეონილოვი, ლიბრეტო — ს. ტრეტიაკოვისა. რატომ გაჩრა ნ. შენგელაიას გვარი, გაუგებარია. ახალ ვარიანტში, პირველისგან განსხვავებით, დამატებულია მხოლოდ ვა-

⁵ „გიული“ — სცენარის ავტორები ნ. შენგელაია, მ. კალატოხოვი, ლ. პუშინ; რეჟ. ნ. შენგელაია, ლ. პუშინ; ოპერატორი ი. კალატოხოვი, 1927 წ.

⁶ სცენარი მანქანაზეა დაბეჭდილი.

მათის ეპიზოდ და საიდუმლოს საზი. თითქმის ყველა და-
ნარჩენი ეპიზოდი გადმოტანილია ძველი ვარიანტიდან,
რომლის ავტორი შენგელაია იყო. რატომ აღარ არის მოხ-
სენებული რეჟისორის გვარი, ან ს. ტრეტიაკოვი რატომ
გამოხსნადა მხოლოდ ლობრეტის ავტორად? სცენარის ეს
ვარიანტი უკანასკნელი და საბოლოო ჩანს, რადგან იგი
ფილმის იდეტორია.

მონტაჟი დამთავრდა 1928 წლის აგვისტოში. ტიტ-
რებში ვიზუალურად, რომ სცენარის ავტორები არიან
ნ. შენგელაია და ს. ტრეტიაკოვი. თავისთავად ინადავ
ახალი კითხვა: რატომა უკლებუდყოფილი ბ. ლეონი-
ლოვი?

გარდა ამისა, ჟურნალ „ნოვი ლევის“⁷ (8-9) ფურც-
ლებზე დაბეჭდილია ს. ტრეტიაკოვის ფოტოქმედიანი ან-
გარიში. 1927 წელს ს. ტრეტიაკოვის თმით თვის⁸ განმარ-
ტობაში საქართველოში „სახანძრუების“ ლიტერატურულ
განყოფილების კონსულტანტად უშვებია. აქ ჩამოთვლილი
აქვეა და სცენარი, რომლებიც ს. ტრეტიაკოვს დაუ-
წერია. მაგალითად, „უსინათლო“, „უკანასკნელი დეკანო-
ზი“, „მორევი“ და „ჩვენი დროის მებრძო“ (რომელიც სი-
ნინოს მოსალიანობას ეძება). მოხსენებული ფილმი
„ორქოლმავალი დ-1000“, „ელისოზე“ კი არაფერია ნა-
თქამი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნ. შენგელაია თავის სტა-
ტიკაში თანავტორად ს. ტრეტიაკოვს მოიხსენიებს.
— მე დაწერილობით ვერაფერს გეტყვით, რადგან იმ
დროს გადაღების მქონდა და დაკავებული ვიყავი, მაგ-
რამ კარგად მახსოვს, რომ კოლია მეფრს წყალბადა ამ
სცენარზე. საერთოდ, ოციან წლებში სცენარის ავტორების
ს შემოქმედებითი ფუნქცია არ გააჩნდათ, რაც დღეს. მა-
შინდელი სცენარისტები ან ფილმის იდეას იგონებდნენ
(რეჟისორის მიერ მოფიქრებულ იდეას დამატებით შემოქ-
მედებით ბიძგს აძლევდნენ), ან ფილმის წარწერებს აკე-
თხდნენ. მაშინ სცენარის მოავარი ავტორები, იშვიათი გამ-
ონაღლის გარდა, უმთავრესად რეჟისორები იყვნენ. ან-
ორიად, ფილმი მთლიანად რეჟისორს ეკუთვნოდა. რაც
შეეხებამ ბ. ლეონიდოვს, იგი თავტარალობით ყადრის დრამა-
ტურად იყო, უყვარდა პომპეურობა. იგი უფრო ხელოსა-
ნი იყო, ვიდრე შემოქმედი. მე ეჭვი მეპარება, რომ მან კო-
ლიას რაიმე არსებითი დახმარება გაუწია. სცენარის ავ-
ტორთა სიაში კოლიას გვარი რომ არ არის მოხსენებული,
ეს ერთგვარი დიალომატიური ნაბიჯი იყო. მაშინ ჩვენ ამ-
გვარ „მოხსენიებებს“ მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ
ვაქცევდით. ჩვენ უფრო საქმით ვიყავით გართული. მით
უმეტეს კოლია, რომელიც უნარგრობითა და თავმდაბლობით
გამორჩეოდა. რასაკვირველია, „ელისოს“ სცენარის მთა-
ვარი ავტორი კოლია შენგელაია, თუმცა, ს. ტრეტიაკოვი
მისთვის ერთგვარი შემოქმედებითი ბიძგის მიმცემი იყო.
მაშინ ამგვარი დახმარებაც საკმარისად ითვლებოდა. არ
უნდა დაგვივიწყდეს ის ფაქტიც, რომ იმ დროს, სერიოზულ
მწერალი იშვიათად მოიძიდა კინოში სამუშაოდ. ტრე-
ტიაკოვთან საბოლოოდ ჩვენ გამოაზრდით, იგი ზოგად მი-
მართულებას ვეკლავდა და ამას ჩვენთვის ილღი მიწვივ-
ლობა ქონდა. მასთან განსაკუთრებით ახლოს ვიყავით მე,
კოლია და ლევი ესაკია.

ლევი ესაკია ახალგაზრდა რეჟისორებს შორის მაშინ ძა-
ლიან გამოირჩეოდა კრისტალურებით, დიდი განათლები-
თა და ნიჭით.

— მე ნანახი მაქვს მისი ადრეული ფილმები „ამერი-

კანას“ და „ხოლტუე“. ჩემი აზრით, ისინი საინტერესო
დოკუმენტური მასალის მხატვრული დამუშავების მხრივ
ს. ტრეტიაკოვი ამ მეთოდის მოხერხებულ იყო თავის სტატუსში,
ში, რომლებიც „ნოვი ლევის“ ფურცლებზე იმედიდებოდა.
იგი ძირითადად სინამდვილის დოკუმენტურ ასახვას აღი-
არებდა. თქვენი ფილმიც „ქომ შვანთე“ ამ პრინციპითა
აგებული.

— დიას, აქ არის როგორც დოკუმენტური, ისე დად-
გებითი ფიზიკური ტიტრები.

— ფილმის ტიტრებში ს. ტრეტიაკოვი სცენარის ავ-
ტორად არ არის მოხსენიებული, აღნიშნულია მხოლოდ:
„ს. ტრეტიაკოვის ნარკვევის მიხედვით“. მე წავიკითხე მი-
სი ნარკვევები სვანეთზე, მათ არაფერი აქვთ საერთო ფილ-
მთან.

— ეს გასაკვირი არ არის, ვინაიდან 1929 წელს სვა-
ნეთში ტრეტიაკოვის სცენარის მიხედვით გადავიღე მხატვ-
რული ფილმი „უსინათლო“ და აგრეთვე ორნაწილიანი ხე-
ლოანი ფილმი „სვანეთი“. გადაღებული მასალა თბილისში
ჩამოვიტანე და მხატვრული ფილმის მონტაჟს შეუდექი.
„სახანძრუების“ დირექციამ „უსინათლო“ დაიწვია, რო-
გორც ფორმალისტური ნაწარმოები. ამან ჩემზე დიდად
იმედიდა, მაგრამ იმედ არ დაკარგე: ორნაწილიანი ფილ-
მის მასალას და დანუხებული მხატვრული ფილმის ჩა-
მონტაჟერი ფირისგან ახალი ფილმის დამონტაჟება გადაე-
წყვიტე. ეს აზრი ვ. შლოვსკის გაკუზიარე, იგი იმ დროს
თბილისში იყო. შლოვსკის მოიწვიან ეს იდეა. მისმა მხარ-
დაჭერამ გამაძლევდა და „ქომ შვანთეს“ მონტაჟს შეუ-
დექი.

— მე ვიცნობ ს. ტრეტიაკოვის „უსინათლოს“ სცე-
ნარს, „ქომ შვანთეს“ არც ერთი კადრი არ ემთხვევა მას.

— „უსინათლო“ მე ძირფესვიანად გადავაკეთე.

— ტრეტიაკოვი გადაღების დროს სვანეთში იყო?

— არა, იგი თბილისში ჩამოვიდა მაშინ, როცა „ქომ
შვანთე“ უკვე დამონტაჟებული მქონდა. მე, შლოვსკიმ და
ტრეტიაკოვმა ფილმის წარწერები გაეკეთა. ჩვენ ხშირად
ეკუმპრობოდით ხოლმე ერთმანეთს, მაგალითად, კოლიას
თხოვით ხანძრის ეპიზოდი „ელისოში“ მთლიანად მე გა-
დავიღე.

— „ქომ შვანთეს“ დიდი წარმატება ქონდა პარიზში.

იტკვევინი მოვყავა, თქვენთვის არ უთქვამს?

— არა, პარიზიდან მესმის.

— 1963 წელს პარიზში ჩატარდა საბჭოთა რეტროს-
პექტული ფილმების კვირეული. იტკვევინი საბჭოთა დე-
ლეგაციის ხელმძღვანელი იყო. მან მოსკოვის ხელოვნების
ინსტიტუტში ფილმები გააკეთა მოხსენება კვირეულის
თაობაზე. ფილმი უწვებნითა საფრანგეთის კინოლოგიაზე
თავის, მაყურებელი თურმე ფილმის მსგელობის დროს
გაუწყებულყო პირველ ტანს, თითქმის ყოველი კადრი
და ეპიზოდი აპორლისმენტების ქვეშ მიდიოდა.

— დიდი ხანია, რაც „ქომ შვანთეს“ არ ვინახავთ?

— ამ ცოტა ხნის წინათაც ვხსენი. იმ ხანებში ამერი-
კაში ვიმყოფებოდი. რეჟისორი სესალ დე მილი გაეიცანი.
მან მითხრა, რომ საბჭოთა კავშირში ყოფნისას ძალიან
მოუწესა ორი ფილმი, რომლებიც შეუძენდა და საკუთარ
არქივში შეუნახავს. სესალ დე მილმა იცოდა, რომ ერთი
მათგანი ა. დოვჟენკოს ფილმი იყო, ხოლო მეორის რეჟი-
სორს არ იცნობდა. მან მთხოვა დახმარება გამეწია და
რეჟისორის გვარი დამეძიებინა. თავისთან მიმიპატია და...
ეკრავა „ქომ შვანთეს“ გაუშვა.

ფინალი ვიღაცას შეუდექი. მე ასეთი ფინალი არ
მქონდა. ბოლოში სხვადასხვა რაკურსით გადაღებული
ტყის კაფვა იყო, უზარმაზარი ხეების ვარნა. ფინლის

7 „ნოვი ლევი“, № 8-9, 1927 წ.

8 საგარეუდა, 1927 წლის აპრილიდან აგვისტომდე.

საბჭოთა არქიტექტურის განვითარების თანამედროვე ეტაპს მშენებლობის გრანდიოზული გამსლა განსაზღვრავს ხელოვნებისა და არქიტექტურის სინთეზის პრობლემა დაღეს კლავ მძაფრად დგება საბჭოთა ხუროთმოძღვრების წინაშე. თავისთავად კი ეს პრობლემა არ არის ახალი. ყოველ დროს და ყოველ ხალხში მას თვალსაჩინო ადგილი ეკავა სხვა სახეობადღობებზე პრობლემებით ერთად. დღემდე შემორჩენილი წარსული პოპტის ძეგლები და სასოგადღობრივი შენობები ამას ნათლად ადასტურებენ.

მხატვრული სინთეზის ასალი სახეა არქიტექტურაში ჭედური ხელოვნების გამოყენება. არქიტექტურისა და ჭედურობის პარმონიული შერწყმა იცნობს თბილისის ს. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომპონის თვარტის ფოტის შემკულობაში — საინტერესო ფორსსა და რელიეფში. კობა გურულის ეს ნამუშევრები კარგად ესამებია შენობის არქიტექტურულ გადაწყვეტებს. ფრინე წარმოადგენს შვე ფონზე გამოსახული თავების კონტურებს. მათი პარმონიული შესებაზე გარკვეული შინაარსის გამომხატველია. ყურადღებას იქცევს ამ ფორსის საერთო შინაარსში ჩართული ცალკეული ფემები, რომლებიც აღიქმება, როგორც სილაბების, ხელოვნებისა და შრომის დიდება.

აქ გამოსახულია ჩანგზე და დაირაზე დამკვრელი მე-სიკუსები, გოლია, რომელიც მათ უძენს, მხატვარი ქალები პალატრიტი ხელში და არქიტექტორიც კი. მუსიკალური კომპონის თვარტის პროექტის ავტორის ხელთ ფარგალი და კაპიტული უჭირავს, როგორც ხუროთმოძღვრების ემბლემა. თავების გასწვრივ განლაგებულია ღამაში, გრძელთითებიანი ხელები, რაც შრომის სიმბოლია. ერთ შემთხვევაში მათ უპყრობა ღვინის დოჭი, მეორე შემთხვევაში — ჯამი ციხისაღი, ეს ყოველივე თავების გამოსახულებებს უარს ანიჭებს.

შავი ფონი ყურადღების კონცენტრირებას ახდენს სახეზე და ხელებზე, რომელთა რიცხვი ოცდაათს აღწევს. სახეთა გულგრა ფრინე ებიურ ვლერადობს ანიჭებენ. კ. გურულმა გამოიყენა გამოსახვის დეკორატიული საშუალებები, რითაც გააძლიერა სახეთა ემოციური გამომსახველობა. დეკორატიული საშუალებები ცხოვრებისეულ სიმართლის ასახვას ემსახურება. კ. გურული სახეებს ერთ მილიან სისტემაში აერთიანებს, რასაც ერთ მკაცრი ლოკიკური დეკორატიული ფორმისაღიის გზით აღწევს.

დეკორატიულობის ეფექტი არ არის უცხო, გარედან შემოტანილი არქიტექტურაში, იგი წარმოადგენს არქიტექტურის ფუნქციური ამოცანების ურთიერთშეხამებას და მათ ესთეტიკურ გაზრებულობას.

ფრინოს თითქოსდა უტოლბარულმა დანიშნულებამ ხელი არ შეუშალა ნაწარმოების ესთეტიკური ღირსების გამოვლენას. ჭედური ფრინოსა და არქიტექტურის ორგანულმა შერწყმამ სახე გაუსვა და გააძლიერა მისი ემოციურობა — შავ, ყრუ ფონზე მკვეთრად პრიადლებს თითბერი, რომელიც ოქსიდირებულია ჩაღრმავებებში. მაღლა მოთავსებული ფრინე შესანიშნავად აღიქმება გარედანაც, მინის კედლის მიღმა.

როდესაც ვლადპარაკობთ მხატვრული ნაწარმოებისა და არქიტექტურის სინთეზზე, აუცილებელია აღინიშნოს, რომ სინთეზთან ერთად უნდა ვიკვლითსმით პლასტიკური ფორმების პარმონიული, ურთიერთგამდობრივული სერკობრივი, გამომსახველობითი ფორმებითა და შენობის მოცულობითი.

იმავე ფოიები ერთ-ერთ კედლებზე გამოსახულია მოჯირითე მხედარი და სხვადასხვა თემაზე შექმნილი ეს ორი ჭედური ნამუშევარი მჭიდროდ ერწყმის დარბაზის ანსამბლს.

გადაკეთება მინდობა, მაგრამ მითხრეს, „სახელმწიფო ფილმოფონი“ ფილმებს არ იძლევაო. ჩემს ფილმებს მოწინავე ველოაზე მეტად „ჯიმ შვანთი“ მიყვარს და გული მწყდება, რომ ფინალს პირვანდელი სახე არ შერჩა.

— 1932 წელს უნდა გამოსულიყო, მაგრამ ვერანებზე ვერ გამოვიდა თქვენი ფილმი „ლურსმანი ჩექმაში“. რა იყო ამის მიზეზი?

— აქვე ფორმალში დამწყემს. იყო ერთი კაცი, შურა დულუჩავა, რომელიც, რაც არ უნდა გამეკეთებინა, ყველაფერს უთუოდ ფორმალისტობად მითვლიდა. მის წიგნში მე მთავარი მოქმედი პირი ვარ.

— 1932-1936 წლებში მხოლოდ ერთი ფილმი გავიქეკეთეული. 1936 წელს გამოვიდა ხშივანი დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა საქართველოს 15 წელი“. რამ გამოიწვია თქვენი „დუმილი“?

— ამ ხნის განმავლობაში კინოსტუდიის დირექტორად ვმუშაობდი და ორგანიზაციული საქმეებით ვიყავი დატვირთული... ახლა ვნანობ, რომ საუკეთესო წლები ასე გადავტყევე. არ მინდოდა დირექტობა, მაგრამ კოლიამ ძალიან მითხოვა. მისი აზრით, კინოსტუდიას შემოქმედი კაცი უნდა ჰყოლოდა ხელმძღვანელად, მეც დავთანხმე. ძალიან მიყვარდა კოლია, სასილი, ღალი, დარდიანლი, კეთილი და პატიოსანი ადამიანი, მალაღნიჭიერი ფრისორი. იგი მოსკოვში დიდი ავტორიტეტი საარგენტინადა, განსაკუთრებით ეს. პუდოკვის უყვარდა. მის გამოსვლებს მოსკოვში ყოველთვის წარმატება ჰქონდა...

კოლიას რიტების ასპოლურტორ გრძნობა გაჩნდა. იგი ურთულეს რიტმულ პასაჟებს არწულებდა, მაგრამ სმენა არა ჰქონდა. საერთოდ გვიკვირდა ასეთი შეუსაბამობა. ერთ დროს კოლია ჩემთან ცხოვრობდა. მე გრამოფონი მქონდა და ხშირად ვუკრავდი ფირფიტებს. კოლიას ძალიან უყვარდა ოტოსონ არია ვერდის ოპერადან, ორი თვის განმავლობაში სისტემატურად ამ ფირფიტას უსმენდა. არია ზეპირად ისწავლა. მღეროდა თავიდან ბოლომდე, მაგრამ საოცარი შეცდომებით. ჩვენ თავს ვერ ვიკავებდით და ვიცილობდით.

— როდის დატოვეთ თბილისი?

— 1936 წელს, როცა ლენინგრადის ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტურაში შევედი.

— შარშან თქვენ თბილისში პრძანდებოდით და ჩვენი ახალგაზრდა რეჟისორების ფილმები ნახეთ.

— დიან, ვნახე. განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა „ფიროსმანა“ და სატელევიზიო ფილმმა „ფეხბურთი უბურთოდ“.

ბოლშევიკი, კინომუსიკათა თათბირზე, მეორედ მომიხდა გიორგი შენგელიას „ფიროსმანის“ ნახვა. საერთოდ, ფილმს ორჯერ არასოდეს არ ვნახულობ. მეორედ ნახვის შემდეგ მან უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მისი ავტორი დიდი გემოვნებისა და მხატვრული ალღის მქონე რეჟისორია. ძალიან მომეწონა, აგრეთვე, ფიროსმანის როლის შემსრულებელი. ბოლშევიკი უტრეობელი კინომუსიკალი იმდენად აღტაცებულია დაგონით, ამ ფილმით, რომ გიორგი შენგელიას მისაღივი დამუშავა გაუუზავნეთ. ძალიან მოხარული ვარ, რომ საქართველოში ასეთი ნიჭიერი კინორეჟისორები გვყავს...

ჭედურობა ქართულ საბჭოურ არქიტექტურაში

ჰენრიეტა იუსტინკაია

თანამედროვე არქიტექტურაში კედელი იშვიათად ასრულებს მხოლოდ სიბრტყის ფუნქციებს, იგი ყოველთვის სივრცითი კომპოზიციის ელემენტია. ჰაერში მონაგარდ მხედარი თითქოს კედლის გარღვევას ცდილობს. წარმებულეული პრაქტიკები, პორიზონტალურად გაშლილი ცხენის სხეული საოცრად ემოციურსა და დინამიურს ხდის გამოსახულებას.

ჩვენი საუკუნე მდიდარია მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი მიღწევებით. როდესაც აღამაინმა შესძლო კოსმოსისა და ატომის საიდუმლოებათა სიღრმეში შეჭრა და სრულიად სხვა წარმოდგენა შექმნა სამყაროზე.

თანამედროვე მხატვრის მსოფლგაგებასა და მსოფლმხედველობაში მუდამ ისახება ღრმა და მრავალფეროვანი სახეებით აღსავსე ახალი სამყარო. ამით შეიძლება აიხსნას მხედრისა და ცხენის კომპოზიციური, წარმებულეული, სტილიზებული ფორმის განსხეულების თავიებურება. პო-

რიზონტალური ხაზების რიტმი აძლიერებს ცხენის შეპირვარ აღმაფრენას. ერთფეროვანი, პორიზონტალური ხაზების მიმართ კონტრასტულად აღქმება ცხენის ნახევრადმხრული მარცხენი წინა ფეხის მოძრაობა და მოხრილი კუდი.

კომპოზიციის შემადგენლობაში შედის კლდეზე გახლებული რამდენიმე ცალკეული რელიეფი — ესაა მარჯვენა ხევედა კუთხეში მჯდარი მრისხანე არწივი. ოდნავ მაღლა გამოსახულია ძუ ლომი და ორი ბოკვერი. ისინი თითქოს ყურს უდგებენ ავთანდილის სიმღერას.

გულმოდგინედ მოდელირებული და დახვეწილია ავთანდილის ფიგურა და სახე. ხელოვნმა გაითვალისწინა რელიეფის ახლოდან აღქმის წერტილები, დახვეწა ავთანდილის ტანსაცმლის უმცირესი ორნამენტებიც კი და ცხენის ზურგზე გადაფენილი საფარი. ასევე დეტალურად არის გამოჭედული ფრთებდახრილი არწივი. ნაკლებად გამოკვეთილია ლომების გამოსახულებები. ამ ჯგუფების მოცულობის განგებ შემეცირებით გურული მნახველის მთელ ყურადღებას ცენტრალურ ფიგურაზე — გმირზე მიაქცევს.

გლუვი კედლის სიბრტყით ხაზგასმული ჭედური რელიეფი კიდევ უფრო გამომსახველი ხდება.

სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის ურთიერთშეხამების პრობლემა ყოველთვის ყოფილა და დღესაც აქტუალურია. საუკუნეების მანძილზე, მშენებლობის ტექნიკასთან დაკავშირებით, იცვლებოდა სინთეზის იდეოლოგიური და ხეობრივი პრინციპები და მათი გადაწყვეტის გზები.

დღეს, ახალი საამშენებლო მასალები — ბეტონი, პლასტმასა, ლითონი, მიხა ფართოდ იხმარება თანამედროვე არქიტექტურაში და გარკვეული ესთეტიკური ღირებულებისაა. არქიტექტურული ფორმების ერთფეროვნება, რაც გამოწვეულია გამოსაყენებელი ტექნიკის იგივეობით, ტიპური პროექტების ხშირი დახერხვით, შეიძლება აღმოფხვრათ სახვითი ხელოვნების გააზრებული გამოყენებით.

მოზაიკამ, ფრესკამ და ვიტრაჟმა შეამკო შენობები საბჭოთა კავშირის მრავალ რესპუბლიკაში.

შენიშნის გასაფორმებლად ქართული ჭედურობის გამოყენების პრობლემა დიდხანს იწვევდა კამათს და საწინააღმდეგო აზრებს, მას შემდეგ, რაც სასტუმრო „თბილისთან“ გაფორმდა სახინელე. მაგრამ 1963 წელს არქიტექტორებმა შ. ჯავლაშვილმა და რ. კიკნაძემ თბილისის ქორწინე-

გურული,

დეკორატიული პანი ლაინერ „აპარაზე“.



ბის სახლის მშენებლობისას არაკლი ოჩიაურის ჭედური რელიეფის გამოყენებით საბოლოოდ გაუკაფეს გზა სინთეზის ახალ სახეს.

მართლაც, ხელმისაწვდომი აქტის დარბაზი თითქოს წარმოუდგენელია ჭედური რელიეფის გარეშე, რომელზედაც აღმეჭლილია მიჯნურთა გამოსახულებები. აღსანიშნავია ისიც, რომ კარგად მოძებნილი მასშტაბი, ადგილმდებარეობა და ხელოვნური განათება გამოიყოფს რელიეფს და აძლიერებს მის ემოციურ ზემოქმედებას.

ქორწინების სახლის ვესტიბულშიც არის მოთავსებული სამი ჭედური რელიეფი: „შეყვარებულები“, „მშობლების მიერ დალოცვა“ და „ბედნიერი ოჯახი“ (აგტორი ი. ოჩიაური). თუ ხელმისაწვდომი აქტის დარბაზში მუქი რელიეფი თეთრ კედელთანაა კონტრასტში, აქ, ვესტიბულში, რომლის კედლები მოპირკეთებულია ნაცრისფერი მარმარილოთი, ჭედური რელიეფები ქმნიან საზეიმო განწყობილებას, რაც თავისუფალია სიმშრლისა და ოფიციალობისაგან.

სწორკუთხედში ჩაწერილი მცირე ზომის ეს კომპოზიციები ჯერ კიდევ მთლიანად ვერ გათავისუფლდნენ დაზნური ხელოვნების გადაწყვეტისაგან, მაგრამ მათი იდეური კავშირი ამ დარბაზთან, მათი დამოკიდებულება არქიტექტურის ანოტაციებთან, რომლის ამოსახსნელად არიან ისინი მოწოდებულინი, მათ მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების გვერდით აყენებენ.

ქალაქ ოსაკაში, მსოფლიო გამოფენაზე „ექსპო-70“, საბჭოთა პავილიონის აშენებდა არაკლი ოჩიაურის მონუმენტური პანო „შვის მოტაცება“, რომელიც განასახიერებს კაცობრიობის ბრძოლას ბუნების ძალთა დამორჩილებისა და ათვისებისათვის. კომპოზიციის მთელ სიგრძეზე გამოსახული ოლიერი, ფაფარაყრილი ცხენები, სიმბოლოა კაცობრიობის აზროვნების ძლიერებისა, რომელიც

მშის ენერჯის დამორჩილებისკენ ილტვის. წარმოადგენს და რა საბჭოთა პავილიონის ექსპოზიციის დამოუკიდებელ ელემენტს, ირაკლი ოჩიაურის პანო მხატვრული აღგზნების საშუალებებით ხსნიდა ამ გამოფენის შექმნელის არქიტექტორებისა და კონსტრუქტორების აზრს.

არქიტექტურისა და ხელოვნების სინთეზის არსი მდგომარეობის ხელოვნების ნაწარმოების კონკრეტულ პირობებსა და არქიტექტურასთან მტკიცე კავშირში.

ამიერად, ჭედური ხელოვნება, რომელიც აკმაყოფილებს სინთეზის ძირითად მოთხოვნებს, ცხოვრებისაგან ელის ახალ ფორმებს. ქართულ ჭედურობას თანამედროვე არქიტექტურაში შეაქვს ეროვნული თავისებურებები, განსაკუთრებული კოლორიტი, რასაც მოკლებულია თანამედროვე არქიტექტურა. ამავე დროს სინთეზის ახალი ფორმა, რომელშიაც შერწყმულია საზოგადოებრივი შინაარსი, აფართოებს არქიტექტურის მხატვრულ საშუალებებს, ხსნის მთელი ნაწარმოების იდეურ ჩანაფიქრს.

ხელოვნების საშუალებებით გამოსატულ არქიტექტურულ აზრს შეუძლია სახე შეუცვალოს ნაკლებად გამომსახველი არქიტექტურის ფორმებს, მისცეს მათ მაღალი საზოგადოებრივი ჟღერადობა.

ქართული ენციკლოპედიის შენობაში მოთავსებული თექვსმეტი მონუმენტური პორტრეტი სახეს უცვლის, დიდებასა და სიღრმეს მატებს არცთუ პრეტენზიულ დარბაზს. ამ პორტრეტებზე აღმეჭლილია გასულ საუკუნეთა მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

ირ. ოჩიაურმა თავისი ჭედური ნამუშევრების შექმნისას გაითვალისწინა მათი ადგილი სინათლით მკვეთრად განათებულ კედელზე.

მცირე მოცულობის დარბაზთან შედარებით დიდი ზომის ნამუშევრებს სქელი ფენით ფარავს მქრტაული ტონი, რომელიც მსუბუქად არის გაღასმული ხელეგნზე, სასხეებს



ი. ოჩიაური.
შვის მოტაცება
ქალაქ ოსაკაში (იაპონია)
მსოფლიო გამოფენაზე
„ექსპო-70“.



ა. გორგაძე
სასტუმრო „ივერაის“
პოლის კარები.

და ფიგურათა ტანსაცმელზე. ეს ადგილები ჩამოქმედებულია ბზინვარებას მოკლებული ბრინჯაოთი. ჩაღრმავებებს მომწვანო-მონაცრისფრო ტონი ფარავს, იგი მოიცავს ფიგურებსა და ფონს, რომელიც არქაულობას ანიჭებს მეცნიერთა გამოსახულებებს.

კ. გურულის მიერ იმავე თემაზე შექმნილი ოთხი ნამუშევარი გვერდით კედლებზეა მოფენილი და, თავისებური, ინდივიდუალური შემოქმედებითი მანერის მიუხედავად, ერწყმის დარბაზის ანსამბლს.

ქართული ენციკლოპედიის შენობის ფოიეს სამი კედელი დაფარულია თექვსმეტი პორტრეტით, რომლებიც გაყოფილია მხოლოდ კარების ჭრილებით.

იღურ-აღმზრდელობითი დანიშნულების გარდა, ეს პორტრეტები ამშვენებენ ინტერიერს და ექვემდებარებიან თავისი კონსტრუქციით ლაკონური დარბაზის ფუნქციურ და კომპოზიციურ მოთხოვნებს.

არქიტექტურისა და ხელოვნების ორგანული კავშირი გულისხმობს აგრეთვე გამოსაყენებელი მასალისა და დეკორირების ტექნიკის პარამოხიულ მთლიანობას.

ჭედური რელიეფები დიდებულად ერწყმისან არა მარტო კეით ნაგებ და გალესილ კედლებს, არამედ შესანიშნავად აღიქმება ხის კედელზეც, როგორცაა, მაგალითად, საბჭოთა ეტემების: „შოთა რუსთაველის“, „აჭარის“ და სხვათა კაფეები და სალონები.

ბარის კედელზე პორიზონტალურად გამოლია კოლხური პოსლის „მედვას“ თემაზე შექმნილი კომპოზიცია „ოტროს საშვისი“. იგი შედგება ცალკეული ნაწილებისაგან. მკაცრი ფაქტურისა და ფერის კედელი აძლიერებს ნაწარმოების მონუმენტურობას.

კონტრულად გამოჭრილი ჭედური რელიეფი, რომელიც გამოსატყავს მხედარ ქალს და აიეტს, გაყოფილია კარებით. კომპოზიციის მთლიანობისათვის კ. გურულმა კარების თავზე მოათავსა მზისა და ღრუბლის ორიგინალური დეკორატიული ელემენტი. კედელზე ცალკე მიმარგე-

ბული ტალღოვანი მოცულობითი ხაზები აერთიანებენ კომპოზიციის ელემენტებს.

მოჯირითე მედვა პლასტიკურია და ძალზე ემოციური. დინამიკა მიღწეულია მედვას წინ გაწვდილი ხელოთ და მოფრიალე თავსაფრით, ცხოველის შემართული, დაძაბული მდგომარეობით. აიეტისა და მედვას პოზა რიტმულადაა შერწყმული.

დაახლოებით იგივე ამოცანა იდგა კობა გურულის წინაშე გემის სხვა რელიეფზე რაინდისა და ვეფხის შებმაზე მუშაობისას. ერთმანეთს ჩაჭიდებული ფიგურები რკალად იკვრებიან. გამძვინვარებული ვეფხის ფიგურა ვერ ეგსოვება მჯდომარე აღამიანის შვიდ, ჩაფიქრებულ ფიგურას, ფიგურის სამოსის ძლიერად დაბერილი ქსოვილი დინამიურობას ვერ ანიჭებს მას. მიუხედავად ამისა, რელიეფის ცალკეული ნაწილების პარამოხიული ურთიერთშემაბემა, ფორმის პლასტიკურობა ესთეტიკურ შინაარსს იძლევა.

კ. გურულის მიერ კონტრულად გამოჭრილი ჭედური რელიეფი ხაზს სუვასა კედლის სიბრტყეს, რომელიც რელიეფთან ერთად სინთეზის ელემენტს წარმოადგენს.

